27-80
2011
603 ✓16573

ერი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 აგვისტო **ორშაბათი** 2011
№ 178 (13475) ფასი 80 თეთრი

კაპლები

ყველაზე ცნობილმა კიჭამ დაგვიდიმეს კი არა, დაგვცინეს

ჯგუფი განაჩენი

ყველა და ყველაფერი განსაცდელით გამოიცდება, ასე რომ, ვნახოთ, რანი ვართ და რად ვღირვართ

ბრაზილია 2014. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა

გოლი კოსტიუმიანი რონალდოსგან

"გული არ გაიტეხოთ, ბიჭებო, ამ ჯგუფიდან თუ გავედით, მუნდიალზე ძლიერი აღარავინ შეგხვდება და მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით", - ასე იხუმრა ინტერნეტ-ფორუმზე საქართველოს ნაკრების ერთმა ქომაგმა. სახუმაროდ საქმე ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ შექმნილ მდგომარეობას ცოტა მსუბუქადაც თუ არ შევხედეთ, ემანდ, მთლად უიმედობამ არ დაგვრიოს ხელი.

„ლელოს" შაბათის ნომერში წილისყრის ყველაზე უარესი შედეგის ჩვენეული ვერსია შემოგთავაზეთ და მთავარ, ანუ გრანდთა (პირველი და მეორე) კალათებიდან სწორედ ის გუნდები შეგხვდა, რომელთა აცილებასაც, ლამის იყო, ღმერთს შევნატროდით. ასე კი დიდმა (ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით) რონალდომ გაგვწირა. ჯერ იყო და, ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა განსომ ბოლო, ხუთგუნდიან ჯგუფში გაგვამწესა, რითაც ათის ნაცვლად რვა შესარჩევ მატჩს დაგვაჯერა და ერთ-ორი "გასეირნების" შანსი წაგვართვა, შემდეგ კი რონალდომ საერთოდ თავ-ბედი გვაწყევლინა და მეტოქედ მსოფლიოსა და ევროპის ორი ჩემპიონი მოგვიჩინა. გადახედეთ სხვა ევროპულ ჯგუფებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, სად შეგვეძლო მოხვედრა და სად მოვხვდით. რა გვეთქმის – ბანალური ფრაზაა, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ, თუნდაც პლეი ოფში გამსვლელი მეორე ადგილისთვის. ესპანეთის ჯობნა დღეს ფანტასტიკად მოჩანს, საფრანგეთთან კი წარმატების გარკვეული შანსი შეიძლება გვქონდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდეგი ციკლისთვის ლორან ბლანს (პოსტზე თუ დატოვეს) უფრო მძლავრი გუნდი ეყოლება, დღესდღეობით კი „სამფეროვნები" ვერ ბრწყინავენ, რაშიც ჩვენმა ახალმა თანაჯგუფელმა, ბელარუსმაც დაგვარწმუნა. შეგახსენებთ, ეს გუნდები ევრო 2012-ის შესარჩევ ტურნირშიც ერთ ჯგუფში არიან და ბელარუსებმა ფრანგებს ორ მატჩში ოთხი ქულა აართვეს – სტუმრად მოუგეს, შინ კი ფრედ ითამაშეს. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს ორივე ინარჩუნებს.

ბელარუსთა პროგრესი თვალსაჩინოა, თუმცა მესამე კალათი ერთადერთია, სადაც შედარებით გაგვიმართლა. ესპანეთი კი მიმდინარე შესარჩევშიც შეუჩერებელია. ვისენტე დელ ბოსკეს გუნდმა ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოიგო და თუ სასწაული არ მოხდა, ევრო 2012-ის საგზურს სექტემბერშივე გაინაღდებს.

მეხუთე კალათაში ფინეთზე სუსტი არაერთი ნაკრები იყო, მაგრამ არც აქ გაგვიმართლა. მართალია, ეს გუნდი დიდი ტურნირების ფინალურ ეტაპზე ერთხელაც არ გასულა, მაგრამ უიმედო აუტსაიდერიც არასდროს ყოფილა. მიმდინარე შესარჩევში ფინელთა აქტივში ორი გამარჯვება და ოთხი მარცხია, თუმცაღა ორივე მატჩი მაჩანჩალა სან მარინოს მოუგეს.

ევროპა. 13 ადგილი

A ჯგუფი
ხორვატია
სერბეთი
ბელგია
შოტლანდია
მაკედონია
უელსი

B ჯგუფი
იტალია
დანია
ჩეხეთი
ბულგარეთი
სომხეთი
მალტა

C ჯგუფი
გერმანია
შვედეთი
ირლანდია
ავსტრია
ფარერები
ყაზახეთი

D ჯგუფი
ჰოლანდია
თურქეთი
უნგრეთი
რუმინეთი
ესტონეთი
ანდორა

E ჯგუფი
ნორვეგია
სლოვენია
შვეიცარია
ალბანეთი
კვიპროსი
ისლანდია

F ჯგუფი
პორტუგალია
რუსეთი
ისრაელი
ჩრდილოეთ ირლანდია
აზერბაიჯანი
ლუქსემბურგი

G ჯგუფი
საბერძნეთი
სლოვაკეთი
ბოსნია
ლიტვა
ლატვია
ლიხტენშტაინი

H ჯგუფი
ინგლისი
ჩერნოგორია
უკრაინა
პოლონეთი
მოლდოვა
სან მარინო

I ჯგუფი
ესპანეთი
საფრანგეთი
გელარუსი
საქართველო
ფინეთი

ევროპის ზონიდან მუნდიალზე პირდაპირ გავლენ ჯგუფების გამარჯვებულები, საუკეთესო რვა მეორეადგილოსანი კი ოთხ წყვილს შექმნის და წყვილების გამარჯვებულები ბრაზილიაში გაემგზავრებიან.

განსო

აფრიკა. 5 ადგილი

წინასწარი ეტაპი
1. სეიშელები-კენია
2. გვინეა ბისაუ-ტოგო
3. ჯიბუტი-ნამიბია
4. მავრიტანია-ლიბერია
5. კომორო-მოზამბიკი
6. ეკვატორული გვინეა-მადაგასკარი
7. სომალი-ეთიოპია
8. ლესოთო-ბურუნდი
9. ერითრეა-რუანდა
10. სვაზილენდი-კონგოს დემოკრატ. რესპ.
11. სან ტომე და პრინსიპი-კონგო
12. ჩადი-ტანზანია

ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი
სამხრეთ აფრიკა
ბოტსვანა
ცენტრ. აფრიკის რესპ.
7-ის გამარჯვებული

B ჯგუფი
ტუნისი
კაბო ვერდე
სიერა ლეონე
6-ის გამარჯვებული

C ჯგუფი
კოტ დივუარი
მაროკო
გამბია
12-ის გამარჯვებული

D ჯგუფი
განა
ზამბია
სუდანი
8-ის გამარჯვებული

E ჯგუფი
ბურკინა ფასო
გაბონი
ნიგერი
11-ის გამარჯვებული

F ჯგუფი
ნიგერია
მალავი
1-ის გამარჯვებული
3-ის გამარჯვებული

G ჯგუფი
ეგვიპტე
გვინეა
ზიმბაბვე
5-ის გამარჯვებული

H ჯგუფი
ალჟირი
მალი
გენინი
9-ის გამარჯვებული

I ჯგუფი
კამერუნი
ლიბია
2-ის გამარჯვებული
10-ის გამარჯვებული

G ჯგუფი
სენეგალი
უგანდა
ანგოლა
4-ის გამარჯვებული

ჯგუფების გამარჯვებულები ხუთ საპლეიოფო წყვილს შექმნიან და მუნდიალზე წყვილების გამარჯვებულები წავლენ.

აზია. 4.5 ადგილი

პირველი ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი
ჩინეთი
იორდანია
ერაყი
სინგაპური

B ჯგუფი
სამხრეთ კორეა
ქუვეითი
საბრძოლო
ლიბანი

C ჯგუფი
იაპონია
უზბეკეთი
სირია
ჩრდილოეთ კორეა

D ჯგუფი
ავსტრალია
საუდის არაბეთი
ომანი
ტაილანდი

E ჯგუფი
ირანი
ყატარი
ბაჰრეინი
ინდონეზია

მეორე ჯგუფურ ეტაპზე თითოეული ჯგუფიდან ორი საუკეთესო გავა და ორ ხუთგუნდიან ჯგუფს შექმნის. მეორე ეტაპის ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნები ბრაზილიის საგზურს ავტომატურად მოიპოვებენ, მესამეადგილოსანთა შორის კი პლეი ოფი დაინიშნება, რომლის გამარჯვებულიც მუნდიალზე მოსახვედრად სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდს შეხვდება

კონკაკაფი. 3.5 ადგილი

პირველი ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი
სალვადორი
სურინამი
კაიმანის კუნძულები
დომინიკელთა რესპუბლიკა

B ჯგუფი
ტრინიდადი და ტობაგო
გვიანა
ბარბადოსი
ბერმუდა

C ჯგუფი
პანამა
დომინიკა
ნიკარაგუა
ბაჰამის კუნძულები

D ჯგუფი
კანადა
სენტ კიტსი
პუერტო რიკო
სენტ ლუსია

E ჯგუფი
გრენადა
გვატემალა
სენტ ვინსენტი
ბელიზი

F ჯგუფი
ჰაიტი
ანტიგუა და ბარბუდა
კურასაო
ვირჯინიის კუნძულები

მეორე ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი
აშშ
იამაიკა
E-ს გამარჯვებული
F-ს გამარჯვებული

B ჯგუფი
მექსიკა
კოსტა რიკა
A-ს გამარჯვებული
B-ს გამარჯვებული

C ჯგუფი
ჰონდურასი
კუბა
D-ს გამარჯვებული
C-ს გამარჯვებული

მესამე ჯგუფურ ეტაპზე მეორე ეტაპის პირველ-მეორეადგილოსნები გადავლენ და ექვსგუნდიან ჯგუფს შექმნიან, საიდანაც მუნდიალზე პირდაპირ გავა სამი გუნდი, მეოთხე კი პლეი ოფში ოკეანეთის გამარჯვებულს შეხვდება.

ოკეანეთი. 0.5 ადგილი

პირველი ჯგუფური ეტაპი (სამოაში)
სამოა
ამერიკული სამოა
ტონგა
კუკის კუნძულები

მეორე ჯგუფური ეტაპი (სამოაში)

A ჯგუფი
ვანუატუ
ახალი კალედონია
პირველი რაუნდის გამარჯვებული
ტაიტი

B ჯგუფი
ფიჯი
ახალი ზელანდია
სოლომონის კუნძულები
პაპუა ახალი გვინეა

ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს პლეი ოფში შეხვდებიან, იქ მოგებული კი მუნდიალის საგზურს კონკაკაფის მეოთხე გუნდს შეეცილება.

სამხ. ამერიკა. 4.5 ადგილი

აქ ყველაფერი მარტივადაა – მასპინძელი ბრაზილია, ცხადია, შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალია, კონტინენტის დანარჩენი ცხრა ნაკრები (ურუგვაი, პარაგვაი, პერუ, ვენესუელა, არგენტინა, კოლუმბია, ჩილე, ბოლივია, ეკვადორი) კი ერთ ჯგუფად, ორ წრედ ითამაშებს. ოთხი საუკეთესო მუნდიალზე პირდაპირ მოხვდება, მეხუთე კი აზიის მეხუთე გუნდს დაუპირისპირდება.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

ჩვენი მეტოქეები

ესპანეთი

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1913 წელს
ფიფას წევრია 1914 წლიდან
უეფას წევრია 1954 წლიდან
პრეზიდენტი: ანხელ მარია ვილარი
ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ადგილი ფიფას რეიტინგში: 1
ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი (2010), ევროპის 2-გზის ჩემპიონი (1964, 2008), ოლიმპიური ჩემპიონი (1992);
სხვა მიღწევები: IV ადგილი მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატზე, ევროპის ვიცე ჩემპიონი (1984), ოლიმპიადის 2-გზის ვერცხლის პრიზიორი (1920, 2000)

საფრანგეთი

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1907 წელს
ფიფას წევრია 1907 წლიდან
უეფას წევრია 1954 წლიდან
პრეზიდენტი: ნოელ ლე გრეტი
ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ლორან ბლანი
ადგილი ფიფას რეიტინგში: 15
ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი (1998), ევროპის 2-გზის ჩემპიონი (1984, 2000), ოლიმპიური ჩემპიონი (1984), კონფედერაციათა თასის 2-გზის მფლობელი (2001, 2003)
სხვა მიღწევები: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (2006), მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს 2-გზის პრიზიორი (1958, 1986), IV ადგილი (1978), ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი (1900)

ბელარუსი

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1989 წელს
ფიფას წევრია 1992 წლიდან
უეფას წევრია 1993 წლიდან
პრეზიდენტი: გენადი ნევიგლასი
ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ბერნდ შტანგე (გერმანია)
ადგილი ფიფას რეიტინგში: 42

ფინეთი

საფეხბურთო ასოციაცია დაარსდა 1907 წელს
ფიფას წევრია 1908 წლიდან
უეფას წევრია 1954 წლიდან
პრეზიდენტი: საული ნიინისტო
ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: მიქსუ პაატელაინენი
ადგილი ფიფას რეიტინგში: 75

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეძლევით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროტურნირები

დინამოს სარეკორდო ზაფხული

ქართული გუნდებიდან ერთადერთი თბილისის „დინამოა“, 1993 წლიდან მოყოლებული, ევროტურნირებზე ყოველ წელს რომ ასპარეზობს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა ორჯერ უჩვენა საუკეთესო შედეგი — 1996 და 2004 წლებში უეფას თასზე სამი ეტაპი წარმატებულად განვლო. და აი, მესამე წარმატებაც: ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ „დინამო“ ევროპის ლიგის პლეი ოფში იასპარეზებს! ჰო, ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად გვეჩვენება მოვლენების ისეთი განვითარება, რომ გუნდმა სტუმრად მოპოვებული სამბურთიან უპირატესობა გაფლანგოს; ეგ კი არა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „დინამო“-„რეიკავიკის“ განმეორებით მატჩში ქართველი ქომაგი კვლავაც იხილავს ჩვენების შედეგიან თამაშს. მით უფრო, რომ **ალექს გარსიას** მოსვლის შემდეგ „დინამომ“... გოლთაცვენას მიგვაჩვია — ხუთ მატჩში გატანილი 15 ბურთი მართლაც საუცხოო მაჩვენებელია; თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია ევროტურნირების ეგიდით ჩატარებულ მატჩებზე და არა საქართველოს ჩემპიონატზე. მოკლედ, „დინამოს“ ბოლოდროინდელი დამაჯერებელი ასპარეზობა ქართველ გულშემატკივარს უნდა ახარებდეს, ისევე, როგორც ევროტურნირებზე გუნდის რეკორდების გაუმჯობესება: ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე უელსურ „ლანელის“ 5:0 რომ მოვუგეთ, „დინამოსთვის“ სარეკორდო გამარჯვება იყო! არანაკლებ შთამბეჭდავია „რეიკავიკის“ დიდი ანგარიშით დამარცხებაც: ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში აქამდე საუკეთესო შედეგი ჩრდილოირლანდიურ „კრუზეიდერსთან“ 3:1 გამარჯვება მიიჩნეოდა, ახლა კი ეს მაჩვენებელიც გაუმჯობესდა! საერთოდ კი, ევროტურნირებზე სტუმრად ყველაზე დიდი ანგარიშით „დინამომ“ 2006 წელს გაიმარჯვა, როცა სომხურ „კილიკიას“ ერევანში 5:1 მოუგო. რა თქმა უნდა, სულაც არ ვაკნინებთ „დინამოს“ იმდროინდელ წარმატებას, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაშინ „დინამო“ ყველაზე ნაკლებადპრესტიჟულ ევროტურნირში, „ინტერტოტოს თასზე“ ასპარეზობდა...

დინამოელები რეიკავიკში გამარჯვებას ზეიმობენ

გიორგი ლორიამ რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია

გიორგი კახელიშვილმა გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა

გარსია და ახლებური დინამო

ალექს გარსიას ხელმძღვანელობით „დინამომ“ ხუთი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და ესპანელ მწვრთნელს მაღალ შედეგიანობასთან ერთად მუდამ გამარჯვებისკენ სწრაფვაც არ დაენუნება: ოთხი მოგება, ერთი ნაგება და ბურთების შთაბეჭდავი სხვაობა (15-3) დინამოელთა ქომაგებში რეალობაზე დამყარებულ ოპტიმიზმს იწვევს — ჯერ ხომ ორი თვეც არ გასულა, რაც გარსია მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და დროის ასეთი მოკლე პერიოდის მიუხედავად, გუნდი აშკარად ახლებურად ათამაშდა. თანაც, საქმე მხოლოდ ასევე აშკარად შეტევაზე ორიენტირებულ ტაქტიკურ განლაგებაში როდია (4-3-3) — შინ თუ გარეთ დინამოელები მაქსიმალურად ცდილობენ მეტოქის ნახევარზე რაც შეიძლება სწრაფად გადასვლას; მოკლე პასებითა და ერთი შეხებით თამაში ხომ ლამის არის, ჩვენი გუნდის საფირმო ნიშნად იქცეს, აღარაფერს ვამბობთ ფლანგებზე ზეაქტიურ თამაშზეც. ერთი, თან არცთუ უმნიშვნელო ნიუანსიც: ჯერ კიდევ სლოვენიური შეკრებიდან მოყოლებული, ალექს გარსია ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში იყო და ხუთი ოფიციალური მატჩის შემდეგ უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ესპანელი სპეციალისტი, ფაქტობრივად, უკვე ჩამოყალიბდა ძირითად ბირთვზე. სამწუხაროდ, ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების გამო ამ ხუთი მატჩიდან „დინამოს“ არც ერთი ჩაუტარებია ერთი და იმავე შემადგენლობით, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნდში უკვე გამოიკვეთა ძირითადი ბირთვი (13-14 ფეხბურთელი) და ერთი-ორი წამყვანი მოთამაშის არყოფნასაც უარყოფითი შედეგი არ მოაქვს. ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ვერ ვიტყვით, რომ გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია; ყოველ შემთხვევაში, გუნდს ერთი-ორი კვალიფიციური მოთამაშის დამატება არ აწყენდა (განსაკუთრებით, დაცვაში) — აი, ახლაც, „რეიკავიკთან“ საპასუხო მატჩის წინ ალექს გარსიას ხომ სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა. კიდევ კარგი, რომ პირველ შეხვედრაში „დინამომ“, ფაქტობრივად, გაარკვია წყვილში გამარჯვებულის ვინაობა, თორემ სხვა შემთხვევაში ნამდვილად არ იქნებოდა ადვილი ერთდროულად სამი წამყვანი ფეხბურთელის (**ჩისკო, კვეკვესკირი, რეხვიაშვილი**) უმტკივნეულოდ შეცვლა. დაცვის ხაზი კი შემთხვევით არ გვიხსენებია: „ლანელისთან“ განმეორებით მატჩში დაშავდა „დინამოს“ შეუცვლელი ფეხბურთელი **ლევან კაკუბავა**, ასევე ტრავმის გამო ჯერ არც ერთი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებიათ ახალ სეზონში **შოთა კაშიასა** და **ლევან ხმალაძეს**, ახლა კი ამათ დისკვალიფიცირებული **გიორგი რეხვიაშვილიც** დაემატა. ისე, მართლაც საინტერესოა, თუ ვის გაამწესებს დაცვის მარცხენა ფლანგზე გარსია, — ერთდროულად ოთხი (!) მცველის არყოფნაში, შესაძლოა, ამ პოზიციაზე გიორგი კახელიშვილიც ვიხილოთ, „რეიკავიკთან“ მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. თანაც, კახელიშვილს ხომ თავდასხმის, ნახევარდაცვისა თუ დაცვის ორივე ფლანგზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში...

კახელიშვილის ბენეფისი

ახლა კი „რეიკავიკი“-„დინამოს“ პირველ მატჩს დავუბრუნდეთ და, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ შეძლო ჩვენმა გუნდმა თამაშის „შემობრუნება“. თუმცა ვიდრე შეხვედრის პერიპეტიებზე ვიტყოდეთ, ისიც უნდა ვთქვათ, თუ როგორი ხანგრძლივი მგზავრობა ჰქონდა ქართულ დელეგაციას: თბილისიდან ჯერ სტამბულში, მერე კი იქიდან ლონდონში ჩაფრენა. კლუბის მმართველმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** ფეხბურთელები განტვირთვის მიზნით ლონდონის აეროპორტიდან ინგლისის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად წაიყვანა (სანახავი კი ლონდონში მართლაც ბევრია), რის შემდეგაც ჩვენი დელეგაცია რეიკავიკში გაფრინდა. იმის გარდა, რომ საქართველოსა და ისლანდიას შორის დროში სხვაობა ოთხი საათია, „დინამოს“ სხვა არასაფეხბურთო პრობლემაც დახვდა რეიკავიკში: როგორი საქმეა აქაური ხვატიდან... +10-გრადუსიან „გარემოში“ მოხვედრა?! მერე იყო მატჩის მართლაც შოკისმომგვრელი დასაწყისი: მე-2 წუთზე მასპინძელთა საუკეთესო ბომბარდირმა **გუდიონ ბალვიდსონმა** ანგარიში გახსნა, ერთ წუთში ძელმა იხსნა „დინამოს“ კარი, მეცხრე წუთზე კი **გიორგი ლორიამ** გადაგვარჩინა! მოკლედ, „რეიკავიკმა“ ისე შემოგვიტია, აღარავის ეპარებოდა ეჭვი ამ გუნდის სიძლიერეში — თავის ქვეყნის ჩემპიონატში ხომ დამაჯერებლად და დაუმარცხებლად ლიდერობს, ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე ძლიერი სლოვაკური კლუბი „ჟილინა“ დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხა. ხანგრძლივი მგზავრობა, დროში სხვაობა, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება — ამ ყველაფერმა ერთად იჩინა თავი და მატჩის დებიუტიც ჩვენებისთვის ასეთი უსიამოვნო აღმოჩნდა. თუმცა, როგორც „დინამოს“ პრესსატაშე **გიგა გვენცაძემ** გვითხრა, დაახლოებით მეათე წუთიდან ჩვენმა გუნდმა თამაშში გარდატეხა შეიტანა და მატჩის ბოლომდეც შეინარჩუნა ეს უპირატესობა. რაც მთავარია, პირველ ტაიმშივე შევძელით საპასუხო გოლის გატანა: **კოტოს** პასით გიორგი კახელიშვილმა ბურთი „ცხრიანში“ გაიტანა! სხვათა შორის, კახელიშვილმა „დინამოს“ კიდევ ორ გოლში მიიღო აქტიური მონაწილეობა: მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტი სწორედ მის წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა, ხოლო შეცვლაზე შესულ **ირაკლი ლექვთაძეს** ჩინებული საგოლე გადაცემა გაუკეთა! შეგახსენებთ, რომ კახელიშვილმა „ლანელისთან“ განმეორებითი შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა — ის მატჩი კი ჩვენმა გუნდმა შთამბეჭდავი ანგარიშით (5:0) მოიგო და, როგორც წესი, მწვრთნელები გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან ხოლმე. თუმცა ალექს გარსიამ „რეიკავიკის“ წინააღმდეგ სწორედ კახელიშვილი ამჯობინა ბრაზილიელ **რობერტინიოს** და არჩევანში არც შეცდარა. არადა, რობერტინიო რომ ამ ზაფხულს მშვენიერ ფორმაშია, იმავე „ლანელისთან“ თუ „მილსამისთან“ შეხვედრებშიც გამოჩნდა — უელსელებს ეფექტური გოლი გაუტანა, მოლდოვაში კი სულაც „დუბლით“ გამოირჩა...

გია ტუხაშვილი

სიონი

უიმედო და უსიამოვნო რეალობა

ამ კვირის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატი იწყება და უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ნაყოფიერად ემზადება ახალი საფეხბურთო სეზონისათვის. აბსოლუტური უმრავლესობა ვთქვით და, ბარემ დავკონკრეტდეთ: ბოლნისის „სიონის“ გარდა ყველა დანარჩენმა გუნდმა ერთი-ორი უცხოური შეკრება გაიარა. აი, „სიონის“ შემთხვევაა კი მართლაც „განსაკუთრებულია“: უცხოურს ვინ ჩივის, გუნდმა ახალი სეზონის დაწყებამდე „ჩვეულებრივ“ შეკრების გავლაც ვერ მოახერხა. ეგ კი არა, ბოლნისელებმა... ერთი კვირაა, რაც ვარჯიში დაიწყეს და, აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რა მიზნები ექნება ამ ქვემოქართლურ გუნდს ახალ სეზონში. მართალია, ჩემპიონატის დაწყებამდე 6 დღეა (!) დარჩენილი და „სატრანსფერო ფანჯარაც“ ჩვენთან აგვისტოს ბოლომდეა, მაგრამ საკითხავია, თუ ვინ ისურვებს ბუნდოვანი ფინანსური მდგომარეობის მქონე გუნდში თამაშს. ანუ, არ არის გამორიცხული, რომ სეზონის დაწყებამდე „სიონმა“ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატოს, მაგრამ ასეთ მოკლე პერიოდში რამდენად რეალურია კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, მართლაც ძნელი სათქმელია. მოკლედ, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი უძველესი ბინადარი ახალ სეზონს უამრავი პრობლემითა და საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით ხვდება, — წინა ჩემპიონატთან შედარებით, გუნდში რამდენიმე ფეხბურთელიაა დარჩენილი. თუ რაოდენ სახეშეცვლილი შემადგენლობა ეყოლებათ ახალ სეზონში ბოლნისელებს, ამაში თავად დარწმუნდებით: სხვადასხვა გუნდებში აგრძელებენ კარიერას **დავით ლომაია, ირაკლი ჩირიკაშვილი, რევაზ ჯიქია, სერგი ორბელაძე, კობა შალამბერიძე, მირზა მერლანი, მინდია ბობღიაშვილი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლაშა ნოზაძე, გივი დიდავა, ნიკოლოზ კვასხვაძე, გიორგი მელქაძე, ვლადიმერ ზუხბაია, ლაშა ვაშაკიძე, ლევან სანიკიძე, გიორგი ქუცურუა, გიორგი ჩივაძე, ვაჟა ქორიძე...**

...როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სიონმა“ ერთი კვირაა რაც მზადება დაიწყო: გუნდი ვარჯიშებს სოფელ რატევანში ატარებს, შაბათს კი... პირველი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. „სიონის“ მეტოქე საქართველოს თასის მფლობელი „გაგრა“ იყო და რა გასაკვირვია, რომ ამ სპარინგმატჩში გამარჯვება **ანატოლი პისკოვეცის** გუნდს დარჩენოდა; ასეც მოხდა: **ლევან შარიქაძისა** და **შალვა კვანტალაიანის** გოლებით „გაგრამ“ 2:0 გაიმარჯვა. „სიონს“ ამ შეხვედრაში **ჯონი ჯაგიდისი** და **ვახტანგ ჩაგელიშვილი** მოძღვრავდნენ და ახალ სეზონშიც, ალბათ, ეს „დუეტი“ გაუძღვება ბოლნისურ კლუბს. „გაგრასთან“ მატჩში „სიონმა“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: **ჯინჭარაძე-კობაური, სვანიძე, თარგამაძე, ლ. ჩხეტიანი — უგრეხელიძე, მ. ოქროპირიძე, მგელაძე, მ. ოქროპირიძე — ისიანი, რეხვიაშვილი.** ამათგან პოტენციური ახალწვეული მხოლოდ მეკარე **კახა ჯინჭარაძე** (წინა სეზონში „სამტრედიაში“ თამაშობდა) და ცენტრალური ნახევარმცველი **ნიკა მგელაძე** („სპარტაკში“ ასპარეზობდა) არიან. თუმცა, როგორც „სიონის“ პრესსატაშე **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვაცნობა, ჯინჭარაძე ბოლნისურ კლუბში აღარ დარჩება. სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ ახალ სეზონში „სიონის“ ძირითად მეკარედ 21 წლის **ვახტანგ ლობჟანიძე** ვიხილოთ, — რუსთავის ფეხბურთის აღზრდილმა გასული ჩემპიონატის მეორე წრე „კოლხეთში“ გაატარა. ლობჟანიძე „გაგრასთან“ მატჩში შეცვლაზე შემოვიდა, ისე როგორც ბოლნისური გუნდის სხვა პოტენციური ახალწვეულები: **გიორგი მოდებაძე, ლაშა ნინიკაშვილი** და **გაგა გაგუნაშვილი**. ამათგან ყველაზე გამოცდილი მოდებაძეა, ბოლოს აზერბაიჯანულ „თურანში“ რომ ასპარეზობდა.

გია ტუხაშვილი

ზესტაფონი

ავსტრიისკენ კარგი განწყობით

“ზესტაფონი” ავსტრიაში ხვალ დილით გაემგზავრება, “შტურმთან” განმეორებით შეხვედრას კი ზეგ გამართავს. ხვალისთვის გაცნობებთ იმ შემადგენლობას, რომელსაც **გია გეგუჭაძე** გრაცში წაიყვანს, დღეისთვის კი ცნობილი ის არის, რომ “შტურმი”-“ზესტაფონს” ფრანგ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება **ანტონი გოტიეს** ხელმძღვანელობით.

საქართველოს ჩემპიონებმა შაბათს საკუთარ ბაზაზე საკონტროლო მატჩი ხარაგაულის “ჩხერიმელასთან” ჩაატარეს და ქვედალიგელი მეტოქე 8:2 გაანადგურეს. გეგუჭაძემ გუნდი ექსპერიმენტული შემადგენლობით ათამაშა და საქმეში დუბლშემადგენლობის წევრებიც ჩართო. დუბლი შეასრულა **ოთარ კვერნაძემ**, თითო ბურთი კი **საბა ლომიას, რატი წინამძღვრიშვილის, როსტომ გეწაძის, ზურაბ ღირდალაძის, ბერდია შავაძისა** და **ნიკა მნათობიშვილის** ანგარიშზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

● საერთაშორისო ტურნირი

„გაბალას“ მწვრთნელი ტონი ადამსი და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი დავით რაჟამაშვილი

მასპინძლები დაჰჩაგრეთ

აზერბაიჯანის ქალაქ გაბალაში გუშინ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, სადაც ოთხი გუნდი მონაწილეობდა: „გაბალა“ (აზებაიჯანი), „ქიაფაზი“ (აზერბაიჯანი), გორის „დილა“ და ცხინვალის „სპარტაკი“.

ტურნირის პირველ დღეს „ქიაფაზმა“ დაძაბულ ბრძოლაში შეძლო „სპარტაკის“ დამარცხება - 3:2. ქართული გუნდიდან ერთი ბურთი **ზვიად მეტრეველმა** გაიტანა, ერთიც მასპინძელმა ფეხბურთელმა მირზაევმა, ვინც ავტოგოლი გაიფორმა. სხვათა შორის, განჯას „ქიაფაზი“ წლეულს დაუბრუნდა აზერბაიჯანის უმაღლეს ლიგას და ამ გუნდში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელიც ირიცხება. ამასთან, ისიც საინტერესო ფაქტია, რომ „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცხელია** წლების განმავლობაში სწორედ „ქიაფაზში“ ასპარეზობდა.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, აქ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა: „გორის „დილამ“ აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმდიდრესი გუნდი „გაბალა“ დამაჯერებელი ანგარიშით (3:1) დაამარცხა. ჩვენი გუნდიდან „დუბლი“ **გია თოდუამ** შეასრულა, ერთი ბურთიც **დავით ჩაგელიშვილმა** გაიტანა. შეგახსენებთ, რომ „გაბალას“ მთავარი მწვრთნელი ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ლეგენდარული კაპიტანი **ტონი ადამსია,** ვინც უკვე ერთი წელია აზერბაიჯანში მუშაობს. აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „დილასთან“ მატჩში „გაბალამ“ ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით იასპარეზა და ამ ფაქტით უკმაყოფილება არ დაუმალავს ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს **გია ცეცაძეს**: შეთანხმებული ვიყავით, რომ ამ ტურნირზე ყველა გუნდი ძირითადი შემადგენლობით იასპარეზებდა, „გაბალამ“ კი დუბლიორები გამოიყვანაო...

ტონი ადამსმა უძლიერესი შემადგენლობა მესამე ადგილისათვის მატჩში გამოიყვანა, მაგრამ მასპინძლებს ვერც ამან უშველათ: **რევაზ ჯიქიას** ერთადერთი გოლით „სპარტაკმა“ ფავორიტ მასპინძლებს აჯობა და მესამე პრიზიორიც გახდა. რაც შეეხება ფინალურ მატჩს, ჩვენდა გასახარად, გორის „დილამ“ **დავით რაჟამაშვილის** გოლით შეძლო „ქიაფაზის“ დამარცხება და ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. ტურნირის დასრულების შემდეგ გამარჯვებულთა დაჯილდოება მოეწყო და ამ ღონისძიებაში აზერბაიჯანული ფეხბურთის ვეტერანებთან ერთად აზერბაიჯანის პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი **რამინ მუსაევიც** მონაწილეობდა. პრიზიორებს სამახსოვრო საჩუქრები დაურიგდათ, დავით რაჟამაშვილი კი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

გია გაგოშიძე

● ლეგიონერები

ქართველებმა არაბებს გაუჭანეს

არნემის “ვიტესმა” ამხანაგურ მატჩში საუდის არაბეთის “ალ შაბაბი” 4:0 გაანადგურა, რაშიც ქართველებმა ლომის წილი დაიდეს. ნულოვანი პირველი ტაიმის შემდეგ 47-ე წუთზე “ვიტესის” ახალმა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** გაიტანა, 51-ეზე კი მეტოქის კარი **გიორგი ჭანტურიამ** დალაშქრა. კაშიამ სრულად ითამაშა, ჭანტურია კი 79-ე წუთზე შეცვალეს.

7 აგვისტოს ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველ ტურში “ვიტესი” “დენ ჰააგს” ესტუმრება.

ლევან ჯანეზაშვილი

გურამ კაშიამაც გაიტანა და გიორგი ჭანტურიამაც

● დიდი სტუმრის მოლოდინში

პელე თბილისიდან იწყებს?

როგორც „ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილია, მომდინარე წლის 23-29 ნოემბერს თბილისში დაგეგმილია ფეხბურთში ოთხთა საერთაშორისო, საქველმოქმედო ტურნირის ჩატარება ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაისა და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებების მონაწილეობით. 23-24 ნოემბერს საპატიო სტუმრის რანგში ტურნირზე თბილისში ჩამოსვლა დაგეგმილი აქვს „ფეხბურთის მეფეს“ — **პელეს.**

„საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების ფონდმა“ (თავმჯდომარე **ნიკო პატარქალიშვილი**), რომელიც თბილისის ტურნირის ორგანიზატორია, გუშინ ახალი ინფორმაცია მიიღო პელეს წარმომადგენლისგან. **გილერმო ბარინანი** იტყობინება, რომ, ვინაიდან პელე დაინიშნა ფეხბურთში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგანგებო ელჩად, იგი თბილისში დათქმულ დროს, 23-24 ნოემბერს, ზემოხსენებული ოთხთა ტურნირის დღეებში დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში უკვე ახალი სტატუსით ჩამოვა, შემდეგ კი ეწვევა საფრანგეთს, გერმანიას, ინგლისს...

ასე რომ, პელე საფეხბურთო ელჩის რანგში ტურნეს თბილისიდან იწყებს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უდავოდ დიდი პატივია.

თენგიზ თომაშვილი

● ლეგიონი

შგურმს სამი გაუჭანეს ჩვენ გაგვაქვს მხოლოდ ჰიროშიმაში

გია გრიგალავამ მატჩი გაძევების გამო ვერ ჩაამთავარა

გასულ უქმეებზე ქართველებს თავი დიდად არ გამოუჩენიათ და თხრობაც **გიორგი ფოფხაძის** “შტურმით” დავიწყოთ. მიზეზს ბევრი ახსნა არ სჭირდება – ავსტრიის ჩემპიონი ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაზე “ზესტაფონს” უმასპინძლებს და საინტერესო იყო, როგორ ითამაშებდნენ გრაცელები ბუნდესლიგის გასულ ტურში.

“შტურმი” სტუმრად “კაპფენბერგთან” 0:3 განადგურდა, თბილისური შეხვედრის შემდეგ კი გუნდს **იმრე ჟაბიში** და **დომინიკ პიურხერი** დაუბრუნდნენ. შეგახსენებთ, პიურხერმა თბილისში დისკვალიფიკაციის გამო არ ითამაშა და “შტურმის” დაცვის მარცხენა ფლანგზე მისი ადგილი ფოფხაძემ დაიკავა, ამჯერად კი ყველაფერი პირიქით მოხდა: პიურხერი ძირითადში იყო, ფოფხაძემ კი ბუნდესლიგის წინა ტურში მიღებული წითელი ბარათის გამო დაისვენა.

“შტურმმა” “კაპფენბერგთან” ამ შემადგენლობით ითამაშა: **გრატცაი, ერენრაიხი, ნოიჰოლდი, ბურგშტალერი, პიურხერი, ვოლფი, ვებერი, კოხი (13. ფოდა), კაინცი (62. ჰაასი), კინასტი, ჟაბიში (69. მურატოვიჩი).**

სამი ტურის შემდეგ “შტურმი” ათგუნდიან ბუნდესლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა.

გადავინაცვლოთ გერმანიაში, სადაც თასის მატჩები გაიმართა. “შალკემ” სტუმრად 11:1 გაანადგურა “ტენინგენი”, თუმცა, სამწუხაროდ, უკვე ძალიან დიდი ხანია, **ლევან ყენიაზე** ახალს ვერაფერს გეუბნებით და იმედია, მალე ვითარება შეიცვლება.

გერმანიაში მოთამაშე ორმა ქართველმა ვეტერანმა კი სათასო ეტაპი წარმატებით დაძლია. **ლევან კობიაშვილმა** და “ჰერტამ” სტუმრად “მოიზელვიტცს” იოლად აჯობეს, “კარლსრუესა” და მის კაპიტან **ალექსანდრე იაშვილს** კი “ალემანიასთან” შედარებით მძიმე ბრძოლა გადახდათ.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში **ამირან სანაიას** კვლავ არ უთამაშია, “ლე მანის” სამწვრთნელო შტაბი კი გადაწყვეტილებას არ ცვლის და **გიორგი მაკარიძეს** მხოლოდ სათასო მატჩებში ათამაშებს, ჩემპიონატში კი თბილისის “დინამოს” ყოფილი მეკარე **დიდიე ოვონო** შეუცვლელია.

რუსეთში ქართველები მრავლად კი არიან, მაგრამ ამ უქმეებზე იქაურ პრემიერლიგაში ჩვენებურები მოედანზე ნაკლებად იყვნენ. 90-90 წუთი იმათ ითამაშეს, ვისაც საკუთარი გუნდის ძირითადში ადგილი დაუმკვიდრებია – ბუნებრივია, **ნუკრი რევიშვილსა** და **ალექსანდრე ამისულაშვილს** ვგულისხმობთ. სასიამოვნოა, რომ **ჯანო ანანიძე** კვლავაც მოხვდა “სპარტაკის” სასტარტო თერთმეტეულში, მაგრამ ამჯერად სხვებისგან ვერ გამოირჩა. ყველაზე შთამბეჭდავი “ანჟის” მიერ “რუბინის“ სტუმრად განადგურება იყო, აღსანიშნავია **ლევან გვაზავას** “ტერეკის” საგარეო გამარჯვება, სხვა ჩვენებურებს კი არ მოუგიათ. განსაკუთრებით საგანგაშოდ ის ამბავი გვეჩვენება, რომ ტურიდან ტურამდე “ვოლგას” 18-კაციან განაცხადში ქართველთა რაოდენობა მცირდება.

ბევრს ვერც უკრაინაზე შევჩერდებით. სასიამოვნოა ისაა, რომ იქ მოთამაშე რამდენიმე ჩვენებურს სათამაშო პრაქტიკა არ აკლია.

ქართველი ლეგიონერის ერთადერთი გოლი კი არა ევროპაში, არამედ აზიაში გავიდა. როგორც ჩანს, “ჰიროშიმას” ვეტერანი **დავით მუჯირი** ჩინებულ ფორმაშია, შვეიცარიულ სუპერლიგაში კი **ირაკლი ჩირიკაშვილის** დებიუტი შედგა.

ლევან ჯანეზაშვილი

ფეხბურთელი	ას.	კლუბი	მეტოქე	ანგ.	შენიშვნა	სეზ.
გერმანია. თასი, 1/32 ფინალი						
ლევან კობიაშვილი	34	ჰერტა	მოიზელვ.	4:0 (გ)	90 წთ	1 თ
ალექსანდრე იაშვილი	33	კარლსრუე	ალემანია	3:1 (შ)	90 წთ, გაფრთ	3 თ, 2 გ.
საფრანგეთი. ლიგა 2						
გიორგი მაკარიძე	21	ლე მანი	არლი	0:1 (შ)	სათად.	1 თ
ამირან სანაია	21	გასტია	ისტრი	3:1 (შ)	არ უთამ.	0 თ
რუსეთი. პრემიერლიგა. XVII ტური						
საბა კვირკველია	19	რუბინი	ანჟი	0:3 (შ)	სათად.	1 თ
ჯანო ანანიძე	19	სპარტაკი	ყუბანი	1:1 (შ)	55 წთ (შეცვალეს)	8 თ, 1 გ
ნუკრი რევიშვილი	24	ანჟი	რუბინი	3:0 (გ)	90 წთ	15 თ
ოთარ მარცვალაძე	27	კრასნოდ.	ცსკა	1:1 (შ)	უფლება არა აძვს	13 თ, 5 გ
ალეძს. ამისულაშვილი	28	კრასნოდ.	ცსკა	1:1 (შ)	90 წთ	13 თ
ლევან გვაზავა	31	ტერეკი	ტომი	1:0 (გ)	81 წთ (შეცვალ) გააფრთ	12 თ
გია გრიგალავა	21	ვოლგა	დინამო მ.	0:2 (გ)	28 წთ, გააძ.	16 თ
ლაშა სალუქვაძე	29	ვოლგა	დინამო მ.	0:2 (გ)	არ უთამაშია	15 თ, 1 გ
გოჩა ხოჭავა	26	ვოლგა	დინამო მ.	0:2 (გ)	სათად.	7 თ, 2 გ
გათე ვაწაძე	22	ვოლგა	დინამო მ.	0:2 (გ)	5 წთ (შეცვლაზე)	12 თ, 1 გ
დავით სირაძე	29	ნალჩიკი	ზენიტი	0:1 (ს)	64 წთ (შეცვალეს)	13 თ, 1 გ
უკრაინა. პრემიერლიგა. III ტური						
უჩა ლოგჟანიძე	24	კრივბასი	ჩერნომორ.	1:0 (შ)	90 წთ	3 თ
ჯაბა კანკავა	25	კრივბასი	ჩერნომორ.	1:0 (შ)	90 წთ, გაფრ	4 თ
ალექსანდრე კობახიძე	24	არსენალი	შახტარი	1:1 (შ)	13 წთ (შეცვლაზე)	4 თ
ვასილ გიგიაძე	34	ტავრია	ალეძსანდ.	0:0 (გ)	სათად.	1 თ
გეძა გოცირიძე	22	დნიპრო	ილიჩივეცი	3:0 (შ)	არ უთამაშია	0 თ
თორნიკე ოძრიაშვილი	19	ილიჩივეცი	დნიპრო	0:3 (გ)	არ უთამაშია	1 თ
ჯაბა ლიპარტია	23	ზარია	ოგოლონი	0:0 (გ)	90 წთ	4 თ, 1 გ
დავით თარგამაძე	21	ალეძსანდ.	ტავრია	0:0 (შ)	90 წთ	4 თ, 1 გ
ალექსანდრე გურული	25	კარპატი	ვორსკლა	0:2 (შ)	არ უთამაშია	1 თ
ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური						
გიორგი ფოფხაძე	24	შტურმი	კაპფენბ.	0:3 (გ)	დისკვალ.	1 თ
შვეიცარია. სუპერ ლიგა. III ტური						
ირაკლი ჩირიკაშვილი	23	ძსამაძსი	სიონი	0:3 (შ)	14 წთ (შეცვლაზე)	1 თ
დანია. სასლიგა. II ტური						
დავით დევდარიანი	23	ორჰუსი	ოდენსე	2:2 (შ)	ტრავმა	0 თ
გიორგი დიასამიძე	19	ორჰუსი	ოდენსე	2:2 (შ)	არ უთამაშია	0 თ
დავით სხირტლაძე	18	ორჰუსი	ოდენსე	2:2 (შ)	არ უთამაშია	0 თ
რუმინეთი. ლიგა 1.						
აკაკი ხუციშია	25	გაზ მეთანი	დინამო ბ.	0:5 (შ)	90 წთ	1 თ
უნგრეთი. ნბ-1. II ტური						
გიორგი განუგრავა	23	ლომგარდი	პაკსი	1:1 (გ)	90 წთ	3 თ
ლაშა თოთაძე	22	ლომგარდი	პაკსი	1:1 (გ)	90 წთ	3 თ
რატი ალექსიძე	32	დიორი	ჰალადაში	1:0 (შ)	36 წთ (შეცვლაზე)	3 თ
იაპონია. ჯეილიგა						
დავით მუჯირი	33	ჰიროშიმა	შიმიცუ	4:0 (შ)	90 წთ	19 თ, 4 გ
შვედეთი. ეშილიგა						
ირაკლი სირბილაძე	28	იარო	ვჰს	0:0 (გ)	90 წთ	2 თ, 1 გ

● მანჩესტერ იუნაიტედი

ამხანაგური შურისძიება

ცხრა კვირის წინ „ბარსელონამ“, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყველა პარამეტრით დაჩაგრა (3:1), მაგრამ ბოლოს და ბოლოს დადგა დღე, როდესაც ინგლისის ჩემპიონმაც გაიგო კატალონიელების დამარცხების გემო. ეს ამბავი ვაშინგტონის „ფედექს ფილდზე“, ამხანაგურ შეხვედრაში, 81 807 მაყურებლის წინაშე მოხდა. გამარჯვების გოლი 31 წლის ვეტერანმა ფორვარდმა **მაიკლ ოუენმა** თამაშის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე გაიტანა. მანამდე, ცოტა ხნით ადრე ბარსელონელმა ტიაგომ შესანიშნავი მოჭრილი დარტყმით გაქვითა ანგარიში, შეხვედრის პირველი გოლი კი **ნანი** შეაგდო. ამრიგად, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ხუთმატჩიან ამერიკულ ტურნეში მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

რასაკვირველია, როგორც კი გამოცხადდა, რომ „იუნაიტედს“ „ბარსელონას“ წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური იყო, ატყდა ლაპარაკი შურისძიებაზე, თუმცა, ჟურნალისტებსა და ფანებს ასეთი ინტერპრეტაციის საშუალება თვით მწვრთნელებმა არ მისცეს. თუნდაც „იუნაიტედის“ ამბავი ვთქვათ — სერ **ალექს ფერგიუსონმა** 28 მაისის სასტარტო შემადგენლობიდან მხოლოდ სამი კაცი ათამაშა. **პეპ გვარდიოლას** გუნდს უფრო იცნობდი კაცი — იმ ფეხბურთელთაგან, რომლებმაც „უემბლიზე“ ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშეს, მოედანზე ექვსნი იყვნენ. დანარჩენი ხუთიდან სამი სამხრეთ ამერიკელი გახლდათ და „კოპა ამერიკაზე“ გადაღლილები ჯერ კიდევ ისვენებენ. მათ შორის იყო **ლეო მესიც**.

გეხსომებათ, ლიგის ფინალში „იუნაიტედის“ გოლი **უეინ რუნიმ** გაიტანა. სწორედ რუნის შეეძლო გოლის გატანა „ფედექს ფილდზეც“, მაგრამ ნანის პასს ხელსაყრელი ადგილიდან მიზანი დააკლო. შემდეგ, **რაფაელი სეიდუ კეიტასთან** შევიდა ორთაბრძოლაში და ისე იტკინა ფეხი, რომ ძმის, **ფაბიოს** შესაცვლელი გახდა. მაგრამ ინგლისის ჩემპიონი ამ ინციდენტმა ვერ გატეხა - **დენი უილბეკმა** მოედნის შუაში ბურთი იხელთა, სწრაფად გადაინაცვლა წინ და „ბარსელონას“ ორ მცველს შორის ნანის მიმართულებით პასი გაჭრა. ნანიმ ბურთი შეიშნო, **ვიქტორ ვალდესთან** პირისპირ შევიდა და მეკარეს ფეხებსშორის გაუძვრინა.

შესვენებამდე 10 წუთით ადრე **იბრაჰიმ აბელაის** შეეძლო **დავიდ დე ხეას** კართან უკეთ თამაში. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ „ატლეტიკოდან“ „იუნაიტედში“ ახალგადასულ **დე ხეას** მაინცდამაინც დიდი დატვირთვა არ ჰქონია — ამ დღეს კატალონიელებმა ის ფეხბურთი, რომლის წყალობითაც მანჩესტერელებს 2009 და 2011 წლებში ორი ფინალი მოუგეს, ვერ აჩვენეს.

სამაგიეროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტიაგომ, რომელიც ამ შეხვედრაში ზოგადადაც შესანიშნავად თამაშობდა, (და ჟურნალისტებს დააწერინა, ნეტავ „ბარსელონა“ **სესკ ფაბრეგასისთვის** თავს რატომ იკლავსო) საუცხოო გოლი შეაგდო.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა და პენალტები ახლოვდებოდა, მაგრამ მაიკლ ოუენმა სხვა გაგრძელება მოძებნა — **ტომ კლივერლის** დიდებულად გაეხსნა და გამარჯვების გოლი შეაგდო. მსაჯის წამატებულ წუთებში 2001 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ჩვენში რომ იტყვიან, „ცარიელ კარში“ ვერ შეაგდო.

● ლივერპული

სტივენი ავად გამხდარა

„ლივერპულის“ კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** პრემიერლიგის ახალი ჩემპიონატის დასაწყისს გამოტოვებს. მიზეზი: ის ავად გახდა და საავადმყოფოში ამოყო თავი. ამრიგად, ჯერარდი სექტემბრამდე ვერ გავა მოედანზე. მას ტრავმირებულ საზარდულთან დაკავშირებული ინფექცია შეეყარა.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების 31 წლის ვარსკვლავმა მარტში საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და მას მერე ჯანმრთელობის აღდგენას ცდილობს. ამ საქმეში ფეხბურთელს სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მერსისაიდელთა მწვრთნელ **კენი დალგლიშს** იმედი ჰქონდა, რომ ჯერარდი სეზონის დასაწყისისთვის ფორმაში იქნებოდა და თამაშს შეძლებდა (მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონატი 13 აგვისტოს იწყება), მაგრამ „ენფილდ როუდზე“ გაკეთებული ბოლო ოფიციალური განცხადება ცხადყოფს, რომ კაპიტანს კიდევ ერთი თვე მკურნალობა მოუწევს.

„ლივერპულის“ განცხადებაში წერია: *„დღეს ჯერარდმა ანტიბიოტიკებით მკურნალობის კურსი დაიწყო. ეს საჭიროა იმ ინფექციის ჩასაცხრობად, რომელიც საზარდულის ოპერაციას მოჰყვა. ექიმები ამბობენ, რომ სტივენი რამდენიმე დღის განმავლობაში კიდევ უნდა დარჩეს საავადმყოფოში, რათა მკურნალობა ბოლომდე და საიმედოდ ჩატარდეს. ამის შემდეგ ფეხბურთელი დაბრუნდება „მილვუდის“ ბაზაზე, სადაც აღდგენის კურსს განაგრძობს. სავარაუდოდ, ის სექტემბერში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას“.*

● ამხანაგური მატჩები

ბოროტსმა გოლი გაიცანა!

„ბარკლაის“ აზიის თასი „ჩელსიმ“ მოიგო. გადამწყვეტ შეხვედრაში დასავლეთლონდონელებმა „ასტონ ვილას“ აჯობეს 2:0. მანამდე, ნახევარფინალში, „ლურჯებმა“ ჰონკონგის „კიტჩის“ მოუგეს 4:0, „ვილამ“ კი „ბლექბერნს“ 1:0 სძლია.

დასავლეთლონდონელთა და ბირმინგემელთა თამაში კიდევ იმით იყო საინტერესო, რომ ნავსი გატყდა და როგორც იქნა გოლი გაიტანა **ფერნანდო ტორესმა**. 27 წლის ესპანელი ფორვარდი თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მეორე ნახევარში კი მოედანზე შევიდა და ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა. „ლურჯების“ პირველი გოლი კი 35-ე წამზე (!) **ჯოშ მაკჩრანმა** შეაგდო. მატჩის შემდეგ, „ჩელსის“ გახარებულმა მწვრთნელმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** თქვა:

„ასეთი პროფესიონალიზმი, თავდადება და მონადინება ადრე არსად მინახავს. აზიური ტურნეს განმავლობაში „ჩელსის“ ფეხბურთელებმა გამოაცხადეს. განა ადვილია, შინიდან ასე შორს გამოუმგზავრო და ფრიად რთულ კლიმატურ პირობებში ვარჯიშისა და თამაშის ხალისი შეინარჩუნო? ამის დანახვა ჩემთვის უდიდესი სტიმული და სიამოვნება იყო.

ახალ სეზონში ჩვენი მთავარი ამოცანა სახიფათო მომენტების შექმნა იქნება. ჩვენ უწინდელზე გაცილებით შემტევი ფეხბურთის თამაშს ვაპირებთ. გვინდა ბურთს მეტოქეებზე მეტხანს ვფლობდეთ და დღეს, „ასტონ ვილასთან“ ეს შევძელით. კიდევ, კმაყოფილი ვარ, რადგან ეს შევძელით იმის მიუხედავად, რომ ბირმინგემელები საკმაოდ აგრესიულად გვეთამაშნენ. დასახული ამოცანა პირველსავე ტაიმში შესანიშნავად შევასრულეთ, ხოლო მეორე ტაიმი კიდევ უკეთესი იყო“.

● კარიერა

ეპოქის დასასრული

ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ **ფრენკ ლემპარდი** ინგლისის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი აღარ იქნება. „ჩელსის“ 33 წლის ვარსკვლავს ეროვნული გუნდის შეკრებებსა და შეხვედრებზე, რასაკვირველია, გამოიძახებენ, მაგრამ სასტარტო შემადგენლობაში გარანტირებულ ადგილს უნდა გამოეთხოვოს. ფეხბურთელს, რომელსაც ნაკრების მაისურით 86 მატჩი აქვს ჩატარებული, 10 აგვისტოს, ჰოლანდიასთან სათამაშოდ, კვლავ უხმობენ, მაგრამ, „დეილი მეილი“ გვარწმუნებს, რომ ის თერთმეტ კაცში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ **19 წლის** ჯეკ უილშირი და 30 წლის **სკოტ პარკერი** დაშავდებიან.

ინგლისელთა იტალიელი თავკაცი **ფაბიო კაპელო** საჯაროდ ლემპარდის ქება-დიდებას განაგრძობს, მაგრამ აშკარაა, რომ მისი აზრით, ვეტერანი ადრინდელივით ვეღარ თამაშობს და მის როლს უილშირს გადააბარებს. თან, მართალია, საზარდულთან დაკავშირებული დაავადების გამო ეროვნულ გუნდში კვლავ არ ითამაშებს 31 წლის ლივერპულელი **სტივენ ჯერარდი**, მაგრამ ლემპარდი მაინც სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

გეხსომებათ, ინგლისის ნაკრების მწვრთნელებს წლების განმავლობაში აწუხებდათ გადაუჭრელი პრობლემა, როგორ ათამაშონ ერთად ლემპარდი და ჯერარდი. ამიერიდან ეს პრობლემა გადაწყვეტილია — დრომ გადაჭრა. დღეიდან ინგლისელთა ნახევარდაცვის მთავარი ფიგურა იქნება ფეხბურთელი, რომელსაც ეროვნულ გუნდში მხოლოდ ხუთი თამაში აქვს ჩატარებული. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ პარკერს, ის, ლემპარდისა არ იყოს, 30 წელს არის გადაცილებული, მაგრამ როგორც ჩანს, უილშირს მოედანზე სხვებზე უკეთ უგებს. თურმე, როდესაც უილშირი უტევს, ზურგში მოშიშვლებულ სივრცეებს პარკერი ლემპარდზე გაცილებით უკეთ ავსებს და აზღვევს.

გავიხსენოთ ინგლისისა და შვეიცარიის ნაკრებთა შეხვედრა, რომელიც ივნისში გაიმართა. იმ შეხვედრაში ლემპარდმა გოლი გაიტანა, მაგრამ კაპელომ ის მაინც შეცვალა. იმ დღეს მის ნაცვლად მოედანზე **ეშლი იანგი** შევიდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის იანგიც უფრო საიმედო და პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება, ვიდრე ლემპარდი.

იანგზე კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ მას ახალ ფორმაციაში, ალბათ, მარცხენა ფრთაზე ვიხილავთ, მაგრამ სამომავლოდ კაპელოს ის მაინც თავდამსხმელის უკან წარმოუდგენია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ლემპარდის შანსი კიდევ უფრო მცირდება: მას ხომ შუიდან შეჭრა, თავდასხმაში ჩართვა უყვარს, ეს ტერიტორია კი იანგს ექნება დაკავებული.

რასაკვირველია, მუდმივად იქნება შანსი იმისა, რომ სხვა ფეხბურთელები დაშავდებიან ან ცუდ ფორმაში იქნებიან და ლემპარდი სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნდება, მაგრამ ვიყოთ გულწრფელნი: განა ასეთი რამ ხშირად მოხდება? ასეთი დღეების ლოდინი „ჩელსის“ მრავლისმნახველ ვეტერანს იქნებ მობეზრდეს კიდეც და სანაკრებო კარიერის დასრულება გამოაცხადოს. ყოველ შემთხვევაში, დღეს ლემპარდმა პოზიციები უნდა დათმოს: კაპელო, უილშირის გარდა, ნაკრებში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალწვეულს, 19 წლის **ფილ ჯონსს** იწვევს და ჰოლანდიასთან მოედანზეც შეუშვებს. ეს ჯონსის დებიუტი იქნება ეროვნულ გუნდში.

დიახ, ცნობილი გახდა, რომ ახალგაზრდა, რომელიც „ოლდ ტრეფორდზე“ „ბლექბერნიდან“ 16 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ გადავიდა, ჰოლანდიასთან ითამაშებს. ცნობისათვის: ჯონსი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ინგლისის 21 წლამდელთა გუნდში, რომელმაც ივნისის დასაწყისში, დანიაში, ასაკობრივ ევროპის ჩემპიონატში უფერულად ითამაშა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა მიაქციეს ყურადღება, რომ კაპელომ ჯონსი მის მანჩესტერელ თანაგუნდელს, 21 წლის **კრის სმოლინგს** ამჯობინა. რატომ? სმოლინგზე ამბობენ, რომ ბურთის ფლობაში პრობლემები აქვს, ჯონსი კი უმაღლესი დონის ფეხბურთის სათამაშოდ უკეთ არის მზად.

არსენალის დაცვა-ვაი

„ბოკა ხუნიორსთან“ ამხანაგური შეხვედრის შემდეგ **არსენ ვენგერს** დიდი კრიტიკა და ზეწოლა ელის. „არსენალის“ დაცვამ ისეთი შეცდომები დაუშვა, რომ კიდევ ერთხელ დაისვა კითხვა: ბოლოს და ბოლოს არ აპირებს ეს კაცი სატრანსფერო ბაზარზე გასვლას და ახალი ფეხბურთელების ყიდვას?

„ემირეიტის თასზე“ ბუენოს აირესის გუნდს ორივე გოლი ჩრდილოლონდონელთა ცენტრალურმა მცველებმა გაატანინეს. პირველი შეცდომა 30 წლის **სებასტიან სკოლაჩიმ** დაუშვა, მეორე კი 24 წლის **იოან დჯურუმ**. თან, მანამდე „მეთოფეები“ **რობინ ვან პერსისა** და **აარონ რემსის** გოლებით 2:0-ს იგებდნენ.

თუმცა, ჯიუტი ვენგერი ცოცხალი თავით არ აღიარებს, რომ ეს დამარცხება რაიმეს მიმანიშნებელი ან შემაშფოთებელი იყო. ის სეზონისწინა შეხვედრებს, თითქოსდა, არც კი აქცევს ყურადღებას.

„მოდი, დავწყნარდეთ — თქვა ვენგერმა — თუ თქვენ სეზონის დაწყებამდე კრიზისის დაწყება გინდათ, სხვა ამბავია, მაგრამ მე ეს ზედმეტად მიმაჩნია. გოლების გაშვება არავის უნდა და იმას, რაც „ბოკა ხუნიორსთან“ შეხვედრაში მოხდა, ზედმეტ მნიშვნელობას ნამდვილად არ მივანიჭებ. რასაკვირველია, იმთავითვე ვიცოდი, რომ მეორე ტაიმი პირველზე რთული იქნებოდა. მოწინააღმდეგემ კონტრშეტევაზე გამოგვიჭირა, რადგან მართალია 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ შეტევა არ შეგვიწყვეტია და უპირატესობის შენარჩუნება ზე არ გადავსულვართ. ძალიან მომეწონა როგორ ვიბრძოდით დაკარგული ბურთის დასაბრუნებლად. აი, სტანდარტულებს კი მთლად კარგად ვერ ვასრულებდით“.

„ბოკას“ ფეხბურთელთაგან თავი **ლუკას ვიატრომ** და **პაბლო მოუჩემ** გამოიჩინეს.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

Սիրելի ընթերցող, ի՞նչ կարծիքի ես մեր թերթի մասին

Մենք միշտ ուրախ ենք լսել մեր ընթերցողների կարծիքը, ուստի խնդրում ենք ձեզ հատկացնել մի քանի րոպե՝ մեզ ասելու, թե ինչ եք մտածում մեր թերթի մասին։ Ձեր կարծիքը մեզ համար շատ կարևոր է, քանի որ մենք ցանկանում ենք, որ մեր թերթը ձեզ դուր գա։

Ահա մի քանի հարց, որոնց պատասխանելով՝ կարող եք մեզ տեղեկացնել, թե ինչ եք կարծում մեր թերթի մասին։

1. Ինչպե՞ս եք գտնում մեր թերթի ձևավորումը։
   ա) Գեղեցիկ է և գրավիչ
   բ) Միջակ է
   գ) Ձանձրալի է
   դ) Ես ընդհանրապես ուշադրություն չեմ դարձնում ձևավորմանը

2. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի տպագրության որակը։
   ա) Գերազանց է
   բ) Լավ է
   գ) Միջակ է
   դ) Վատ է

3. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի նյութերի ընտրությունը։
   ա) Հետաքրքիր և բազմազան է
   բ) Միջակ է
   գ) Ձանձրալի է
   դ) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

4. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի նյութերի մատուցման ոճը։
   ա) Հետաքրքրաշարժ է
   բ) Միջակ է
   գ) Ձանձրալի է
   դ) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

5. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի լեզուն։
   ա) Գրագետ է
   բ) Թույլ է
   գ) Վատ է
   դ) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

6. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի գինը։
   ա) Ողջամիտ է
   բ) Թանկ է
   գ) Էժան է
   դ) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

7. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի ընդհանուր մակարդակը։
   ա) Գերազանց է
   բ) Լավ է
   գ) Միջակ է
   դ) Վատ է
   ե) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

8. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի հրատարակման հաճախականությունը։
   ա) Ամեն օր
   բ) Շաբաթական 3 անգամ
   գ) Շաբաթական 1 անգամ
   դ) Ամսական 1 անգամ
   ե) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

9. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի տարածումը։
   ա) Հեշտ է ձեռք բերել
   բ) Դժվար է ձեռք բերել
   գ) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

10. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի գովազդները։
    ա) Հետաքրքրաշարժ են
    բ) Միջակ են
    գ) Ձանձրալի են
    դ) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

11. Ինչպե՞ս եք գնահատում մեր թերթի ընդհանուր ոճը։
    ա) Ժամանակակից է
    բ) Միջակ է
    գ) Հնացած է
    դ) Ես ընդհանրապես չեմ կարդում մեր թերթը

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის კენჭისყრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტთა ყურადღება განსაკუთრებით **ლორან ბლანმა** მიიპყრო, რადგან სწორედ მის გუნდს შეხვდა ყველაზე რთული მეტოქე, რომელზეც საერთოდ შეიძლებოდა ვინმეს "ეოცნება". მას უკმაყოფილების საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა. *"ვერ გეტყვით, რატომ აღმოჩნდა საფრანგეთის ნაკრები მეორე კალათაში. ამას მით უფრო ვერ ვიგებ, როცა პირველში საბერძნეთი, ნორვეგია და ხორვატია იყვნენ. მეორე კალათის წყალობით ჩვენთან რომელიმე ტოპნაკრები გარანტირებულად მოხვდებოდა და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ საუკეთესოთაგან ყველაზე ძლიერი გვერგო მეტოქედ. ბუნებრივია, ეს ყოველივე არალოგიკურად მიმაჩნია, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე გვიანია. ერთადერთი რამის თქმა შემიძლია – ესპანეთთან სანახაობრივი შეხვედრები გველის.*

ლორან ბლანს წინ დიდი ბრძოლები ელის

როცა ასეთი დონის მატჩებს ხშირად მართავ, შენი დონე უფრო და უფრო მაღლდება," – განაცხადა ბლანმა "როიტერთან" ინტერვიუში.

კენჭისყრის შედეგებით შეფიქრიანებულია ასევე საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოელ ლე გრე-იტიც**. *"ძალიან რთული ჯგუფია,* - განუცხადა ჩინოვნიკმა "ევროსპორტს". - *თუმცა მოვიდა დრო, რომ მხოლოდ წინ ვიაროთ და წარსულის წარუმატებლობები დავივიწყოთ. უპირველესი ამოცანა იქნება, რომ ჯგუფი პირველ ადგილზე დავასრულოთ, თუმცა ესპანეთთან ჭიდილი იოლი არ იქნება. ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად ჩვენ წელიწადნახევარი გვაქვს".*

არც თუ ისე იოლი შესარჩევი ჯგუფი შეხვდა ჰოლანდიას. **ბერტ ვან მარვიკი** სიტუაციას რეალურად აფასებს - მიაჩნია, რომ მის გუნდს იოლი გზა არ ელის. *"ჩვენი მთავარი კონკურენტები იქნებიან თურქეთის, უნგრეთისა და რუმინეთის გუნდები. კარგად მახსოვს, რა რთული იყო თურქებთან ბოლო დაპირისპირება. იმავეს თქმა შემიძლია რუმინეთზეც, უნგრეთს რაც შეეხება, მათ მშვენივრად ვიცნობთ, რადგან ევრო 2012-ის შესარჩევში ჩვენ ისინი ორჯერვე დავამარცხეთ. ნებისმიერ შემთხვევაში ჯგუფს შემიძლია ამოუცნობი ვუწოდო,"* – განუცხადა მან ჰოლანდიურ "ფუტბოლ ინტერნეშენელს".

თურქეთისა და ჰოლანდიის მომავალ დაპირისპირებებს დამატებით ხიბლს სძენს **გუუს ჰიდინკის** ფაქტორი. *"ძალიან საინტერესო ჯგუფია. ჩვენ მოგვიწევს ვეთამაშოთ ჰოლანდიის იმ გუნდს, რომელიც სოლიდურ ძალას წარმოადგენს დღევანდელ საფეხბურთო სამყაროში. საკმაოდ მოუმატა ბოლო წლებში რუმინეთის ნაკრებმაც და იოლი თამაშები არც მათთან გველის. რაც უნდა მოხდეს, თურქეთი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს. ვვარაუდობ, რომ ჩვენი მთავარი მეტოქე ამ გზაზე სწორედ ჰოლანდია და რუმინეთი იქნებიან,"* – უთხრა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა "მედიაფაქსს".

პორტუგალიელთა დამრიგებელ **პაულუ ბენტუს** თქმით, მთავარ კონკურენტად ის რუსეთს მიიჩნევს, თუმცა ანგარიშს უწევს სხვა გუნდებსაც. *"რა თქმა უნდა პირველ რიგში რუსეთს გამოვყოფ. შემდეგ ისრაელს, რომელიც ამჟამად ევრო 2012-ზე გასასვლელად იბრძვის. არც დანარჩენი გუნდების ჩამოწერა შეიძლება. თუმცა გარწმუნებთ, რომ თუ ყველა მატჩს სათანადო განწყობით შევხვდებით, ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ ბრაზილიაში გამგზავრების უფლებას,"* – განუცხადა მან პორტუგალიურ "ა ბოლას".

ლევან ბიბილაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

ოქროს ბიჭები!

ახალმა თაობამ ნიჭიერება კიდევ ერთხელ დაამტკიცა

დავით მარსაგიშვილი

აქეთ მწვრთნელებისადმი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილის** (55) უფსტი ფინალში, ნუ გეშინიათ ყველაფერი კარგად იქნებაო და ამ ამბიდან რამდენიმე წამში გაკეთებული მომგებიანი ქულა, იქით - **დავით მარსაგიშვილის** (84) მიერ ფინალში ბეჭებზე დაცემული და ატირებული რუსთა ოსი ლიდერი **ვლადიმერ რუბაევი**, რომელიც უილაჯოდ ურტყამდა მუშტს ლეიბს, ბერძენ-რომაელთა მძიმე წონის მსგავსად, მოულოდნელად გამონათებული მძიმეწონოსანი **თედორე ებანოიძე**, რომელიც **შოთა გოგისვანიძისგან** განსხვავებით, ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ერთი თვის წინათ ევროპის პირველობაზე ბრინჯაო 96-ში მოიპოვა, ახლა კი ზედა წონაში გადასულმა ბევრად ძლიერ ტურნირში ფინალამდე გააღწია - აი, ასეთი სასიამოვნო ამბებით დაგვამახსოვრდება ბუქარესტში გუშინ დამთავრებული თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობა... უყურებ ამ ბიჭებს და გული კიდევ ერთხელ გევსება სიამაყით - მართლაც რომ ნიჭიერი თაობა მოდის, რომელსაც საქართველოსთვის დიდი ნარმატებების მოტანა შეუძლია. ყოჩაღ ბიჭებო, თქვენ თქვენი სიტყვა ომახიანად თქვით!

ჩვენთვის „თავისუფალთა“ გამოსვლაც ისეთივე წარმატებული აღმოჩნდა, როგორც - ბერძენ-რომაელების ანალოგიური შეჯიბრება, რადგან ამათაც 5 მედალი მოიპოვეს. მედლები ხარის-ხობრივადაც კი ზუსტად ისევეა განაწილებული - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო. მსოფლიოს ჩემპიონები ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი გახდნენ, ებანოიძემ და **მამუკა კორძაიამ** (96) ფინალური შეხვედრები წააგეს, ბრინჯაო კი **დავით გალეგაშვილმა** (66) მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 50 ქულით მეორეზე გავიდნენ - 56-ქულიან რუსებს ჩამორჩნენ, მესამეზე კი ირანია 46-ით. მედალოსანთაგან ჩემპიონებმა წლეულს ახალგაზრდებში დუბლი შეასრულეს - ევროპაც მოიგეს, უფროსებში კი კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. ხინჩეგაშვილი ამ ასაკში სულაც ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. აღსანიშნავია ებანოიძის წლევანდელი გამოსვლაც, რომელმაც ნარმატებით იასპარეზა თანატოლთა ორივე მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე - ევროპა-მსოფლიოზე და თანაც სხვადასხვა წონით კატეგორიაში!

ბუქარესტში ჩვენმა ნაკრებმა ორი განსხვავებული სატურნირო დღე ჩაატარა - შაბათს ლეიბზე გასული 4 ქართველიდან მედალს მხოლოდ კორძაია შეწვდა, **ლევან როჭიკაშვილი** (55) და ევროპის ვიცე-ჩემპიონები - **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60) და **ბექა პეტრიაშვილი** (74) კი ისე გავარდნენ, სანუგეშო წრეში გადასვლის საშუალებაც არ მიეცათ. გუშინ კი ოთხივემ მედალი მოიპოვა. ამ სამეულიდან თუნდაც ერთს რომ მოეპოვებინა წარმატება, გუნდურ პირველობასაც მოვიგებდით.

ნათქვამია, ტიტულის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე - მოპოვებაო, მაგრამ შეიძლება ითქვას, ხინჩეგაშვილს არ გასჭირვებია ჩემპიონობის შენარჩუნება. მან ოთხივე შეხვედრა ძირითად დროში მოიგო. აქედან პირველ ორთაბრძოლაში ავსტრიელ **მაქსიმილიან აუსერლაიტნერს** ჯამში 13:0 აჯობა, უკრაინელ **ვიტალი ჰურსკისა** და ამერიკელ **მარკ გრეის** შედარებით მისაღები სხვაობა აკმარა. თან ორივე ძალზე თავისუფლად დაამარცხა. ერთი სიტყვით, ლამის ყველა ტურნირზე იგრძნობა, რომ ის მთელი თავით მაღლა დგას თანატოლებზე. ფინალიც ძალზე ჭკვიანურად წარმართა - ცდილობდა, ყაზახ **რასულ კალიევისთვის** სამოძრაო სივრცე არ მიეცა, თორემ ფიზიკურად ჯანიანი და სხარტი აზიელი კარგ დღეს არ დააყრიდა. საჭიდაოდ გასვლამდე ჩვენებური თითქოს ღელავდა კიდეც, ხოლო მერე ცოტა კონცენტრაციაც დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, ყაზახმა ორჯერ გააგრძელა ამის წამონყებული ილეთი და 2-2-ქულიანები მიითვალა. შესაძლოა, იმ ეპიზოდებში მეტოქემ ფიზიკურადაც აჯობა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენებურმა ანგარიში გაათანაბრა - 4:4. აი, სწორედ მაშინ ანიშნა მწვრთნელებს ხელით, ყველაფერი კარგად იქნებაო, მიბრუნდა და ყაზახი თვალის დახამხამებაში 2-იანზე დააგდო - 6:4 მის სასარგებლოდ. მეორე პერიოდში უკვე თვითონ დაიჭირა მეტოქე კონტრაზე, თუმცა ამასაც არ დასჯერდა და ფეხებიდან ჯვარზეც დაატრიალა. ჭკვიანური ჭიდაობით მალე კიდევ ერთხელ ჩაიყვანა ჩოქბჯენში და პერიოდი 3:0 მოიგო. ის საკმაოდ იოლად იღებს ქულებს, მაგრამ რამდენჯერმე თვითონაც ასევე იოლად დაკარგა ანუ დაცვა უნდა გამოასწოროს.

მარსაგიშვილს წილისყრამ შედარებით გაუმართლა, რადგან ძლიერთა უმეტესობა მეორე მხარეს მოხვდა, თუმცა რუბაევი ერთად აღებულს უდრიდა ყველას - ის ივნისში რუსეთის მესამე პრიზიორი გახდა და უკვე ლამის ეროვნულის ლიდერობაზე იქაჩება, მარსაგიშვილმა კი პატარა ბავშვივით გააბითურა და ატირა! ქართველი პირველ პერიოდშიც ბევრად უკეთ გამოიყურებოდა და ფეხში შესვლით ძალზე იოლად მოიპოვა 2 ქულა. მარსაგიშვილმა წინასწარი შეხვედრებიც ძლევამოსილად ჩაატარა - ახალზელანდიელ **ფაისალ ატაიეს** 13:0, სლოვაკ **მარიან ბოდნარს** 11:0, ნახევარფინალში ბერძენ **ტიმოფეი ქსენიდისს** კი 9:0 მოუგო. დიდი ანგარიშით მხოლოდ უზბეკ **სუბკონჯონ ტოშპულატოვს** ვერ აჯობა.

კორძაია ასეთ დონეზე პირველად ჭიდაობდა და ალბათ, ეს გახდა ფინალში მარცხის მიზეზიც ირანელ **ჰამედ დელავერ ტალებიზარინკამართან** - ორივე პერიოდში ფეხში შესვლის უფლება მას მიეცა, აქედან პირველი წრიდან გაყვანით მოიგო, მეორეშიც კი არათუ გადააგდო თავად დაკარგა ქულა. ის დამატებითშიც ისევე ფრთხილად ჭიდაობდა - კვლავაც მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე მეტოქე ილეთზე არ შეეშვა, მაგრამ შენც თუ არ ეცდები, კოკას ყოველთვის როდი მოაქვს წყალი. ასე მოხდა იქაც, კორძაიამ კი ამის შემდეგ სცადა ფეხში შესვლა, მაგრამ ირანელმა უგანა და მორიგი ქულა მოიპოვა, ამან ჩვენებური საბოლოოდ გატება და მალე კიდევ ერთი ქულა დაკარგა. მთლიანობაში, იმდენად დაძაბული შეხვედრა გამოდგა, ბოლოს ორივეს უჭირდა ფეხზე დგომა. კორძაიას აქტივში ნამდვილად ჩაეთვლება აზერბაიჯანელ **ასლანბეკ ალბოროვთან** მოგება.

ირანელმა ასევე აჯობა ფინალში ებანოიძესაც. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე აზიელი ფიზიკურად ძალიან ათლეტური იყო და აღემატებოდნენ ჩვენებს. მთლიანობაში, ორივე ქართველი ქებას იმსახურებს და სავსებით მართალი ყოფილა ახალგაზრდულის თავკაცი **ნუგზარ სხირელი**, როცა ამბობდა, რომ ორივე იმსახურებდა ნაკრებში ადგილს და ბალანსის დასამყარებლად ებანოიძე მძიმეში გადაიყვანა - ამ ნაბიჯმა სავსებით გაამართლა. ის იმავეს ამბობდა 66-ზეც და გალეგაშვილს იმთავითვე დაუბეჭდა ადგილი მსოფლიოზე ნამსვრევ ჭიდაობაში.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

ლელ გუნდში. ურიგოდ არც ეს გამოსულა, მით უფრო, რომ წილისყრამ არ გაუმართლა - პირველივე მეტოქედ მომავალი ჩემპიონი, რუსთა კიდევ ერთი ოსი ფალავანი **ხეტაგ ცაბოლოვი** არგუნა. გალეგაშვილმა თავისი შანსი სანუგეშო წრეში გამოიყენა, ტაჯიკ **სუნათულა რაშიდოვს**, ყაზახ **ასლან აზიზოვს** და ძლიერ თურქ **მუსტაფა კაიას** აჯობა.

კჟარცხლბეკი

50 კგ. 1. მაგომედ მაგომედალიევი (რუსეთი); 2. გეორგ ვალენტინოვ ვანგელოვი (ბულგარეთი); 3. ანატოლი ბურუიანი (მოლდოვა), ნურსულთან ნაიზაბეკოვი (ყაზახეთი). **17. ლევან როჭიკაშვილი (საქართველო).**

55 კგ. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო); 2. რასულ კალიევი (ყაზახეთი); 3. ვიტალი ჰურსკი (უკრაინა), არაშ მუსტაფა დანგესარაკი (ირანი).

60 კგ. 1. ტოგრულ ასკაროვი (აზერბაიჯანი); 2. ლოგან სტიბერი (აშშ); 3. მაქსიმ პერპელიტა (მოლდოვა), ომერ უზანი (თურქეთი). **26. თენგიზ ჩოჩიშვილი (საქართველო).**

66 კგ. 1. ხეტაგ ცაბოლოვი (რუსეთი); 2. ებრაჰიმ აკბარ ნასირიაფრაჰალი (ირანი); **3. დავით გალეგაშვილი (საქართველო),** რანა პარვეენი (ინდოეთი).

74 კგ. 1. ტამერლან ახმედოვი (რუსეთი); 2. აბდულკადირ ოზმენი (თურქეთი); 3. მიროსლავ სტეფანოვ კიროვი (ბულგარეთი), იბრაჰიმ იუსუბოვი (აზერბაიჯანი). **7. ბექა პეტრიაშვილი (საქართველო).**

84 კგ. 1. დავით მარსაგიშვილი (საქართველო); 2. ვლადიმერ რუბაევი (რუსეთი); 3. ტიმოფეი ქსენიდისი (საბერძნეთი), ისლამ აზიზოვი (ყაზახეთი).

96 კგ. 1. ჰამედ დელავერ ტალებიზარრინკამარი (ირანი); **2. მამუკა კორძაია (საქართველო);** 3. ასლანბეკ ალბოროვი (აზერბაიჯანი), მაგომედგაჯი ნურასლოვი (რუსეთი).

120 კგ. 1. ჯაბერ ტაგი სადეგ ზადეჰნოუკოლაეი (ირანი); **2. თედორე ებანოიძე (საქართველო);** 3. მურადინ კუმკოვი (უკრაინა), ჰამზა ოზკარადენიზი (თურქეთი).

ირაკლი თავაძე

ერთვნული ტანვაოთება

ინდურ ჩენაში დღეს საზეიმოდ გაიხსნება 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა გოგონათა და ვაჟთა შორის. ქართველებს მხოლოდ ორი წარმომადგენელი გვეყოლება - **ნაზი პაიკიძე** და **ქეთი წანალაშვილი.** მანდილოსნებში 29 ქვეყნის 69 წარმომადგენელი იბრძოლებს ჩემპიონობისთვის. მათ შორის ექვსი დიდოსტატია: მსგავსი ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული დეიზი კორი (პერუ, 2376), ასპარეზობის რეიტინგფავორიტი პაიკიძე (2416), წანალაშვილი (2318), ანასტასია სავინა (რუსეთი, 2398), ოლგა გირია (რუსეთი, 2371) და როუთ რადმინი (ინდოეთი, 2348). ტიტულისთვის უმთავრესი პაექრობები, ალბათ, მათ შორის გაიმართება, თუმცა არ არის გამორიცხული, სიურპრიზები საერთაშორისო ოსტატებმა - კუბრა ოზთურქმა (თურქეთი), ჰოანგ თი ჰუმ (ვიეტნამი), ირინა ბულმაგამ (რუმინეთი), კლაუდია კულონმა (პოლონეთი), ნარმინ კაიმოვამ (აზერბაიჯანი) და სხვებმაც შემოგვთავაზონ.

ჩემპიონატზე 13 ტური გათამაშდება და 15 აგვისტოს დამთავრდება.

■ ■ ■

პამპლონაში (ესპანეთი) დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, ასპარეზობის ერთადერმა ქართველმა მონაწილე **ლევან აროშიძემ** ბოლო ტურის პარტია შავი ფიგურებით სერბ დრაგან პაუნოვიჩთან წააგო და 5,5 ქულით 21-ე ადგილს დასჯერდა. 7-7 ქულით პირველი-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, ედუარდო იტურისაგამ (ვენესუელა), სუნიგა ხულიო გრანდამ (პერუ), სერგეი ფედორჩუკმა (უკრაინა) და ბრანკო დამლიანოვიჩმა (სერბეთი) გაინაწილეს.

■ ■ ■

წალენჯიხელ დიდოსტატ **კონსტანტინე შანავას** რეალური შანსი ჰქონდა, ჰარდუბიცეს (ჩეხეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი მოეგო, მაგრამ ბოლო ტურში იგი ხორვატ ზორან ივოვნოვიჩს დაუზავდა და 7 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარეს თავი ჰანეს სტეფანსონმა (ისლანდია), იოვანოვიჩმა და ვიაჩესლავ ზახარცოვმა (რუსეთი), მაგრამ უარესი კოეფიციენტით მათ მესამე-მეხუთე ადგილები გაინაწილეს. პირველი ადგილი კი 7,5 ქულით სტეფანსონის მძლეველმა უკრაინელმა დმიტრი კონონენკომ დაიკავა.

6,5 ქულით მე-9 იყო თბილისელი **დავით არუთინიანი, დავით ჯოჯუას** კი 5,5 ქულით 55-ე ადგილი ხვდა.

■ ■ ■

სამი მოგება, ხუთი ყაიმი და ერთი მარცხი - ასეთი მაჩვენებლებით დაამთავრა **ბაადურ ჯობავამ** მოჭადრაკეთა სომხეთის საერთაშორისო ტურნირი „სევანის ტბა 2011“, რომელშიც 10 დიდოსტატი მონაწილეობდა. ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ჯობავამ ბოლო ტურშიც მასპინძელ ავეტიკ გრიგორიანთან დაზავება არჩია, რადგან ამ ნახევარი ქულითაც სასურველ მიზანს აღწევდა - 5,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, ერევნელმა ჰრანტ მელქუმიანმა ფინიშზე ბელარუს სერგეი ჟიგალკოს სძლია, მაგრამ ამ მოგებამ მას მხოლოდ მე-2 ადგილი მოუტანა - უარესი კოეფიციენტით ჩამორჩა ჯობავას.

ბოლო ტურის დანარჩენი სამი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ: ჩჯოუ ძიანჩაო (ჩინეთი)-ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი), სამველ ტერ-სააკიანი (სომხეთი)-არმან პაშიკიანი (სომხეთი), ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი)-ილდარ ხაირულინი (რუსეთი). ეს უკანასკნელი ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელიც ყველა პარტიაში მშვიდობიანად დაშორდა მეტოქეებს.

„სევანის ტბაზე“ მესამე-მეათე ადგილები ასე განაწილდა: ძიანჩაო-5, ხაირულინი, პაშიკიანი, პეტროსიანი, ჟიგალკო-4,5–4,5, გრიგორიანი-4, ანდრიასიანი, ტერ-სააკიანი-3,5-3,5 ქულა.

ვაჟა დანელია

ძიუდო. პრაღის ტურნირი ახალგაზრდებში

საჯილდაო ტურნირი

ამუქმეებზე პრაღამ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასს უმასპინძლა, სადაც წარმატებით გამოვიდა ჩვენი ნაკრები. 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო - ასეთია მათი მონაგარი. ჩემპიონები **გიორგი მესაბლიშვილი** (55) და **ლაშა შავდათუაშვილი** (66) გახდნენ, **ლერი ჭელიძე** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60) და **გიორგი მერმანიშვილი** (90) მეორეზე გავიდნენ, ბრინჯაო კი მძიმეწონოსნებმა - **უშანგი კოკაურმა** და **ლევან მათიაშვილმა** ირგუნეს.

ამ ტურნირს ჩვენი ნაკრებისთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ ეს იყო ბოლო საკონტროლო-შესარჩევი შეჯიბრება 16-18 სექტემბერს ბელგიურ ლომელში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი გუგავამ** იქ ისინიც წაიყვანა, ვისაც უკვე მოიაზრებს საევროპო ნაკრების წევრად და ისინიც, ვინც ვაკანტური ადგილების შევსების პრეტენზიას აცხადებს. პირველთათვის ეს საკონტროლო შეჯიბრება უნდა ყოფილიყო, მეორეთათვის - შესარჩევი. საბედნიეროდ, უმეტეს შემთხვევაში მწვრთნელს შეგირდებმა იმედები გაუმართლეს ანუ გუგავამ სწორი არჩევანი გააკეთა. პრაღაში წასვლამდე მან თქვა, რომ ვინც იქ უკეთ იასპარეზებს, ბელგიაშიც იმას წაიყვანს, ხოლო ჩეხეთიდან დაბრუნებული გუნდს უკვე ოფიციალურად გამოაცხადებს. ის ჯერ არ ჩამოსულა თბილისში და იქნებ ზოგან „თეთრი ლაქები“ ამ ტურნირის შემდეგაც დარჩა, მაგრამ 55-ში მისი მოლოდინი გამართლდა - ამ წონაში სწორედ მესაბლიშვილ-ჭელიძის დუეტის წაყვანას აპირებს და პრაღაში ჩვენი გუნდისთვის ყველაზე წარმატებულიც ეს წონა აღმოჩნდა, ქართული ფინალი გაიმართა. გუგავა ასევე აპირებდა ბელგიაში შავდათუაშვილის, მარგველაშვილის, მერმანიშვილის წაყვანას, ახლა კი ეს საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. იყო რამდენიმე ფალავანი, რომლებიც დასაკვირვებლად წაიყვანა, თუმცა მათ იმედები ვერ გაუმართლეს. მწვრთნელისთვის ყველაზე დიდი დილემა 81-ში იდგა, თუმცა პრობლემა პრობლემადვე დარჩა - აქ 4 კაცი წაიყვანა, მაგრამ მაინც უმედლოდ დავრჩით. ყველაზე უკეთ საქართველოს ჩემპიონმა **ზურაბ ეპიტაშვილმა** იასპარეზა - მეხუთეზე გავიდა და, ალბათ, ქვეყნის ჩემპიონობა გარკვეულ ფორას მისცემს. აქამდე მცირე ურპირატესობა **შალვა ნინიძის** მხარესაც იყო, რადგან საბერძნეთის ტურნირი მოიგო, ახლა კი ის და **ბექა რატიანი** მეშვიდეზე გავიდნენ. მწვრთნელისთვის ერთ-ერთი პრობლემატური იყო 100 კილოგრამიც - იქნებ აქ ევროპაზე ორი კაცი არც წავიყვანოო. მისი აზრი არც ამ საკითხზე ვიცით, მაგრამ არა გვგონია, გადაეფიქრებინა - **ელგუჯა ბიბილაშვილი**, რომელიც უფრო გამოკვეთილი ლიდერი იყო, მეშვიდეზე გავიდა, **გიორგი ცნობილაძე** - მეცხრეზე.

დაველოდოთ გუნდის დაბრუნებას თბილისში - სავარაუდოდ, მაშინ გუნდის საბოლოო შემადგენლობასაც გავიგებთ.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი ჭიდაობა. ციოლკოვსკის ტურნირი

ოდიკაძის ბრინჯაო

პოლონურ პოზნანში, ციოლკოვსკის მემორიალზე ქართული სამკაცა გუნდის მონაგარი ბრინჯაოს 1 მედალია, რომელიც 96 კილოგრამში მოასპარეზე **ელიზბარ ოდიკაძემ** მოიპოვა. მას შემდეგ, რაც ესპანელი **ედერ ვილანუევა** და ამერიკელი **დასტინ კილგორე** დაამარცხა, სახელოვანი გამარჯვება მიითვალა ივან იარიგინის მემორიალის შარშანდელ ჩემპიონთან, რუს **იური ბელონოვსკისთან**. ოდიკაძემ დათმო პირველი პერიოდი, მაგრამ მოიგო დანარჩენები, თუმცა, სამწუხაროდ, ნახევარფინალში მეორე რუსთან - **აბდუსალამ გადისოვთან** ვერაფერს გახდა და პირველი პერიოდის 2:0-ზე მოგების შემდეგ მომდევნოები 0:4; 0:2 დათმო. ბრინჯაოსთვის ბრძოლა ირანელ **მეჰდი მაზანდარანთან** მოუხდა და აღმავლობითაც ჩაატარა - ჯამში 4:1 იმარჯვა. ამას წინათ ის ბაქოშიც კარგად გამოვიდა - „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ტურნირზეც, სადაც ვერცხლი მოიპოვა, ამ წარმატებით კი, სავარაუდოდ, დიდი ნაბიჯი გადადგა მსოფლიოს ჩემპიონატისკენ, თუმცა ჯერ დაველოდოთ მწვრთნელებს და **გიორგი გოგშელიძეს**.

უმეტესად დარჩნენ **მალხაზ ზარქუა** და **ბექა ლომთაძე** 60-ში. ორივე მასპინძელ **კრშიშტოფ ბირიკოვსკისთან** დამარცხდა - ლომთაძე პირველ ნრეში, ზარქუა - მეორეში. ის ნახევარფინალამდე კი მივიდა, მაგრამ იქ რუს ფინალისტ **რასულ მურთაზალიევთან** წააგო და არც ჩვენებს მიეცათ სანუგეშოში გადასვლის საშუალება.

ირაკლი თავაძე

ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

● ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

1976-1980

მოსკოვმა XXII ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება დიდი ძალისხმევით მოიპოვა და ამ საქმეში ლომის წილი დაიდო **ხუან ანტონიო სამარანჩმა**, რომელიც 1975 წლიდან საბჭოთა კავშირში ესპანეთის ელჩი იყო. 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის დღეებში გამართულ სოკ-ის კონგრესზე სამარანჩს დამსახურება დაუფასდა - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგით მეშვიდე პრეზიდენტი გახდა. ეს პოსტი მან 2001 წლამდე შეინარჩუნა და შემდეგ **ჟაკ როგეს** გადააბარა.

ქართული სპორტი იმ ხანებში მკვეთრ აღმავლობას განიცდიდა და კვლავ რჩებოდა საბჭოთა ნაკრები გუნდების ერთერთ მნიშვნელოვან დასაყრდენად სპორტის მთელ რიგ სახეობებში. მოსკოვის ოლიმპიადის წინა წლებში ცენტრიდან აშკარად იგრძნობოდა დამოკიდებულების შეცვლა ქართული სპორტისადმი. ბრწყინვალე ორგანიზატორი **გიორგი სიხარულიძე**, რომელიც 1963 წლიდან დიდებულად ასრულებდა საქართველოს სპორტის მესაჭის ფუნქციას, 1973 წელს თანამდებობიდან დაითხოვეს. ქართულ სპორტში აწყობილი სისტემა და ურთიერთობები მთლად არ დანგრეულა, მაგრამ მნიშვნელოვნად გადასხვაფერდა.

მოსკოვი სულ უფრო ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა ქართული სპორტისადმი. კულუარებში იმაზეც ლაპარაკობდნენ, რომ ოლიმპიურ ნაკრებში ზოგიერთი ქართველი სპორტსმენის შეყვანის სანაცვლოდ ქრთამს ითხოვდნენ ნაკრების თავკაცები. შესახვეწი აღარაფერი ჰქონდათ. საბჭოთა სპორტი ისე იყო მომძლავრებული, ვთქვათ, ჭიდაობის ნებისმიერ სახეობაში მინიმუმ 5 თითქმის თანაბარი ძალის სპორტსმენი ჰყავდათ მომზადებული.

ზემოაღნიშნულიდან და სხვა ხილული თუ უხილავი ფაქტორების ზეგავლენით, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ნაკრებ გუნდებში მოსალოდნელზე ნაკლები სპორტსმენი მიიწვიეს საქართველოდან - სულ 16. ერთი შეხედვით, ეს სულაც არ იყო ცოტა, მაგრამ ვინც იმ პერიოდის ქართული სპორტის შესაძლებლობებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ მოსკოვში XXII ოლიმპიადაზე მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა უნდა გვყოლოდა. აი, მედალთა რაოდენობა კი ნამდვილად რეკორდული გამოდგა - 12. მანამდე უმაღლესი მიღწევა 11-11 მედალი იყო ტოკიოსა (1964) და მიუნხენში (1972).

მოსალოდნელი იყო ლეგენდარული **ვიქტორ სანეევი** მეოთხედ გამხდარიტო ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ ვერცხლის მედალს დასჯერდა, თუმცა ოქრო უსამართლობის გამო დაიკარგა.

საბჭოთა კავშირს ყველანაირი კრიტერიუმით ეს ოლიმპიადა უნდა მოეგო და ასეც მოხდა - მოიპოვა ოქროს 80, ვერცხლის 69 და ბრინჯაოს 46 მედალი. აქედან საქართველოს ოლიმპიელთა წილად შესაბამისად 3, 4, და 5 მედალი მოდის.

დავძენთ, რომ პირველად თანამედროვეობის ოლიმპიურ თამაშებში მოხდა განხეთქილება - მოსკოვში არ ჩამოვიდნენ აშშ-ის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ოლიმპიური დელეგაციები. ბოიკოტი 1988 წლამდე გაგრძელდა - უკვე სოცბანაკის ქვეყნების მხრიდან.

● ოლიმპიური წლების რჩეულები

ოლიმპიურ 1976 წელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციულ გამოკითხვაში საქართველოს №1 სპორტსმენად მძლეოსანი **ვიქტორ სანეევი** დასახელდა.

ვიქტორ სანეევმა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში მეხიკოსა (1968) და მიუნხენის (1972) შემდეგ ზედიზედ მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის მარადიული ტიტული სამხტომში.

● მილოცვა

ოლიმპიური გვერდის დღევანდელი გამოშვება საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ორი მშვენების, ოლიმპიური ჩემპიონი ქალბატონების - **მზია ჯუღელის** და **ქეთევან ლოსაბერიძის** დაბადების დღეს დაემთხვა.

ვულოცავთ ძვირფას ქალბატონებს დაბადების დღეს. სპორტული ჯანმრთელობა, დღემზეობა და ხანგრძლივი სიცოცხლე გვისურვებია თქვენთვის, ძვირფასებო!

„ლელოს“ რედაქცია

● თქვენთვის, ერუდიტებო!

ვიქტორინა

ეძღვნება XXIII და XXIV ოლიმპიურ თამაშებს

1. სად ჩატარდა მოსკოვის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1984 წელს?

ა — ბარსელონაში
ბ — ლოს ანჟელესში
გ — სეულში

2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა — 2
ბ — 4
გ — არ მონაწილეობდნენ

3. რომელმა ქვეყანამ მოიპოვა საერთო გამარჯვება XXIII ოლიმპიურ თამაშებში?

ა — სსრკ კავშირმა
ბ — აშშ-მა
გ — რუმინეთმა

4. სპორტის რომელ სათამაშო სახეობაში მოიპოვა პირველად ოქროს მედალი საქართველოს სპორტსმენმა 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა — ფეხბურთში
ბ — კალათბურთში
გ — ფრენბურთში

5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა — 12
ბ — 14
გ — 16

ჯ-ნ ,ჯ-ზ ,ბ-ე ,ბ-ზ ,ა-ე :ხდნჯნაენ

● საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე

ქეთევან ლოსაბერიძე

დაიბადა 01.08.1949, ტყიბული. **მშვილდოსნობა**. მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980) და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1972, IV ადგილი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 78), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 79) და ხუთგზის მესამე პრიზიორი (1971, 72, 74, 75, 81), სსრკ თასის მფლობელი (1972, 78), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979), მილანის (1975, 80), ლოძის (1976), კიოლნისა (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1980), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (2002-05).

ზოთა ხაბარელი

დაიბადა 26. 12. 1958, ძლევისჯვარი, ქარელი. ძიუდო (78 კგ). 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1983), ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვალში (1979, 83), ორგზის მეორე (1979, 82) და ორგზის მესამე (1981, 83) პრიზიორი პირად პირველობაში. სსრ ორგზის ჩემპიონი (1982, 85), სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონი (1983), საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1981). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1997-2010). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

წლები და შედეგები

ოლიმპიადა: XXII, მოსკოვი 1980 წ.

I ადგილი: **ქეთევან ლოსაბერიძე** - მშვილდოსნობა; **ვახტანგ ბლაგიძე** - ბ\რ ჭიდაობა (52 კგ); **შოთა ხაბარელი** - ძიუდო (78 კგ).

II ადგილი: **თემურ ხუბულური** - ძიუდო (95 კგ); **ვიქტორ სანეევი** - მძლეოსნობა (სამხტომი); **საიდა გუმბა** - მძლეოსნობა (შუბის ტყორცნა); **ალექსანდრე ანპილოგოვი** (ხელბურთი).

III ადგილი: **ლიანა ცოტაძე** - წყალში ხტომა, კოშკურა; **ნიკოლოზ დერიუგინი** (კალათბურთი); **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ჩელებაძე** - სამივე ფეხბურთი.

I – VI ადგილებს მიღმა დარჩნენ: დავით კვაჭაძე (კრივი); **ირინა გერასიმოვა** (ცურვა); **თამაზ ნამგალაური** (ძიუდო); **თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა).

მონაწილე - 16. ოქრო-3, ვერცხლი 4, ბრინჯაო-5. სულ 12 მედალი.

ვახტანგ ბლაგიძე

დაიბადა 23.07.1954, ჩოჩხათი, ლანჩხუთი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (52 კგ). XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980, მოსკოვი), მსოფლიოს ორგზის (1978, 81), ევროპის ორგზის (1978, 80), სსრკ (1981) და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1977), მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

● სადაურსა სად წაიყვან...

საქართველოში დაოსტატდნენ და შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის სახელით ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ:

1. სერგეი ალიფერენკო - ტყვიის სროლა (სიდნეი, 2000 წ.)
2. ალექსანდრ გაზოვი - ტყვიის სროლა (1976, მონრეალი)
3. ვლადიმირ დრონოვი - ფრენბურთი (1980, მოსკოვი)
4. ანა დოლონაძე - ბატუტზე ხტომა (2004, ათენი)
5. ალექსანდრე დოხტურიშვილი - ბ/რ ჭიდაობა (2004, ათენი)
6. ჯვარჯვი ზვიადაური, ძიუდო (2004, ათენი)
7. კახი კახიაშვილი - ძალოსნობა (1996, ატლანტა, 2000, სიდნეი) - გამოდიოდა საბერძნეთის სახელით. 1992 წელს ბარსელონაში ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა საქართველოს.
8. სერგეი კოვალენკო - კალათბურთი (1972, მიუნხენი) - მაშინ თამაშობდა უკრაინაში
9. ბორის კოკორევი - ტყვიის სროლა (1996, ატლანტა)
10. სტანისლავ ლუგაილო - ფრენბურთი (1964, ტოკიო)
11. არსენ მეკოკიშვილი - თ/ჭიდაობა (1952, ჰელსინკი)

● თარიღები და ფაქტები

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები ერთი დღით უფროსია ოლიმპიურ ფილატელიაზე. ათენის ოლიმპიადა გაიხსნა 1896 წლის 5 აპრილს, მეორე დღეს კი უკვე ხმარებაში იყო ოლიმპიადისადმი მიძღვნილი პირველი საფოსტო ნიშნები.

■ ■ ■

ნ ერთმანეთზე გადაჭდობილი რგოლი საფოსტო ნიშნებზე პირველად 1928 წელს აისახა ჰოლანდიაში.

■ ■ ■

დადგენილი წესის თანახმად, ოლიმპიური თამაშების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ვადებს საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალის ჩათვლით. იგივე ეხება ზამთრის ოლიმპიადების ხანგრძლივობასაც.

■ ■ ■

ოლიმპიური თამაშები სამოყვარულო სპორტის გრანდიოზული ზეიმია, მაგრამ თამაშების ისტორიაში ერთხელ დაირღვა სამოყვარულო სპორტის სტატუსი და ოლიმპიადაში პროფესიონალმა სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა. ეს მოხდა 1900 წელს, როცა მოყვარულ მოფარიკავეთა პარალელურად შეჯიბრებაში პროფესიონალებიც მონაწილეობდნენ.

● ამონაწერი ოლიმპიური ქარტიიდან

საერთაშორისო ფედერაციები (სფ-ი)

თავი მესამე

29. საერთაშორისო ფედერაციების აღიარება

ოლიმპიური მოძრაობის განვითარების მიზნით, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს საერთაშორისო ფედერაციები, როგორც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში მსოფლიო დონეზე და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ ამ სპორტის სახეობებს ეროვნულ დონეზე.

რაც შეეხება საერთაშორისო ფედერაციების როლს ოლიმპიურ მოძრაობაში, მათი სტატუსი, საქმიანობა და პრაქტიკა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ოლიმპიური ქარტიის დებულებებთან და უნდა ეთანხმებოდეს მათ. თითოეული საერთაშორისო ფედერაცია ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას და ავტონომიას სპორტის თავისი სახეობის მართვაში.

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

გაგრძელება ორშაბათობით

პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ევრობასკეტი

დარჩა 29 დღე



საქართველომ ლენტი გაჭრა, ავსტრია ვერა

შტაინბურნი, ავსტრია

30 ივლისი

ავსტრია-საქართველო 64:56

29:25, 35:31

საქართველო: გამყრელიძე (1ქ), ა. ბოისა (6ქ), ვ. ბოისა (7ქ), ფაჩულია (10ქ, 10მ), ცინცაძე (7ქ), სანიკიძე (9ქ), ცქიტიშვილი (9ქ), ჰეინსი (7ქ, 3ვ), შენგელია.

ავსტრია: დეტრიკი (22ქ), ლამესიჩი (11ქ), შრაინერი (11ქ), პოიგერი (7ქ), გასპარი (4ქ), მიხალი (4ქ), ონილი (3ქ), კოხი (2ქ).

ეროვნულმა ნაკრებმა 30 ივლისს ლენტი გაჭრა - ევრობასკეტისთვის მზადების პროცესში პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. შეხვედრა შტაინბურნში, იმავე დარბაზში გაიმართა, სადაც ჩვენი ნაკრები ვარჯიშობს. **იგორ კოკოშკოვის** შეგირდები ავსტრიელებს 32-ე წუთისთვის 54:47-ს უგებდნენ, მაგრამ მასპინძლები 10:0 გაიქცნენ და სირენამდე წუთით ადრე სამი ქულით დანინაურდნენ (59:56). დარჩენილ დროში **ლამესიჩმა** სამქულიანი გამოიყენა, **მიხალმა** - საჯარიმოები და ავსტრიამ 64:56 მოიგო. ამის შემდეგ გაიმართა 15-წუთიანი თამაში, რომელიც ქართველთა სასარგებლოდ დასრულდა.

მოგებით გახარებული იყო ავსტრიელი ლამესიჩი:

- შესანიშნავად გავისარჯეთ. ხუმრობა ხომ არ არის, დავამარცხეთ გუნდი რომელშიც ზაზა ფაჩულია თამაშობს.

ნაკრების მეორე მწვრთნელის, **დავით უსტიაშვილის** კომენტარი კალათბურთის ფედერაციის ვებსაიტზე გამოქვეყნდა.

- ჩვენი მიზანი მოთამაშეების ფორმის შეფასება და სხვა დეტალები იყო. ორივე გუნდი დაცვას აქცევდა ყურადღებას, ცდილობდა, ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი დაეხვეწა. როცა შეხვედრა დასრულდა, მოვილაპარაკეთ და კიდევ 15 წუთი ვითამაშეთ. თუკი ამ დამატებით დროსაც გავითვალისწინებთ, 2 ქულით მოვიგეთ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ შედეგს ყურადღებას ნაკლებად ვაქცევდით. შეხვედრას სავარჯიშო ხასიათი ჰქონდა.

მწვრთნელი კალათბურთელების მზადყოფნასაც შეეხო:

- დამაკმაყოფილებელ ფორმაში არიან. მანუჩარ მარკოიშვილი ნელ-ნელა შედის კონდიციებში და მომდევნო ამხანაგურ მატჩებში აუცილებლად ითამაშებს.

მეორეც ავსტრიისაა

ბადენი, ავსტრია

31 აგვისტო

ავსტრია-საქართველო 72:54

17:10, 19:15, 18:18, 18:11

საქართველო: გამყრელიძე (1ქ), ა. ბოისა (4ქ), ვ. ბოისა, ფაჩულია (12ქ), ცინცაძე (6ქ), სანიკიძე (2ქ), ცქიტიშვილი (15ქ), ჰეინსი, შენგელია (11ქ), შარაბიძე, მეტრეველი, ფაცაცია (3ქ)

ავსტრიის ქალაქ ბადენში საქართველოს ნაკრები გუშინ მასპინძლებს დაუპირისპირდა და ამჯერად დიდი სხვაობით დამარცხდა - 72:54.

საქართველოს ნაკრების პრესცენტრის ხელმძღვანელი, ირაკლი პერტაია მატჩის შემდეგ მეორე მწვრთნელ დავით უსტიაშვილს დაუკავშირდა და შეხვედრის პერიპეტიებზე ელაპარაკა.

- წაგება უმთავრესად ჩვენი ბრალია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეტოქემ წარმატებას გადამეტებულად აგრესიული თამაშის ხარჯზე მიაღწია, თანაც მსაჯებისგანაც ჰქონდა მხარდაჭერა. შეხვედრას ავსტრიელი არბიტრები უძღვებოდნენ, რომლებიც აშკარად გამოხატავდნენ საკუთარი თანამემამულეების მიმართ სიმპათიას. თუმცა, მზადების პროცესში ვართ, წინ ერთი თვეა და ამ დროში ბიჭები ბევრს გამოასწორებენ, შეთამაშდებიან.

- მატჩში რამდენმა კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა?

- მხოლოდ ლაშა ფარღალავას არ უთამაშია. რაც შეეხებათ მანუჩარ მარკოიშვილსა და გიორგი შერმადინს, ისინი განაცხადში არ იყვნენ. მათ ეს მატჩი ექიმების რჩევით გამოტოვეს.

- შერმადინსაც ტრავმა აქვს?

- ფეხმა შეაწუხა და ექიმმა 2-3 დღით დასვენება გამოუწერა. მომდევნო ამხანაგურ მატჩს ორივე მათგანი ითამაშებს.

- მატჩს ბევრი მაყურებელი დაესწრო?

- საშუალოდ. მასპინძლებს მხარდაჭერა ნამდვილად ჰქონდათ.

- B დივიზიონის ბინადართან 18 ქულით წაგება საგანგაშო ხომ არ არის?

- სანერვიულო არაფერია. ახალი შეკრებილები ვართ, გამალებით ვვარჯიშობთ. ევრობასკეტამდე დრო გვაქვს და დარწმუნებული ვარ, სათანადო კონდიციაშიც შევალთ.

● საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

მეთხუთმეტე, ანუ ოცდამეთერთმეტე

ბულგარეთი, ვარნა

30 ივლისი

საქართველო-ნორვეგია 70:47

16:17, 15:6, 16:7, 23:17

საქართველო: ჩოჩია (13 წთ, 5ქ, 3ვ), ნადირაძე (9 წთ, 5ქ), რამიშვილი (19 წთ, 5ქ, 7მ, 4ვ, 3ჩ), ბურჯანაძე (32 წთ, 14ქ, 14მ, 5ვ, 3ჩ), კვანტალიანი (15 წთ, 6ქ, 3მ), ლოლიშვილი (16 წთ, 3ქ, 2ვ), ლობჟანიძე (20 წთ, 5ქ, 2ვ), ცირეკიძე (26 წთ, 11ქ, 5მ), როგავა (21 წთ, 4ქ, 4მ, 3ვ), გრძელიძე (11 წთ, 6მ, 2ჩ), ჯინჭარაძე (18 წთ, 6ქ, 3მ, 4ჩ).

ნორვეგია: ნდოუ (23ქ), ლეპოვიჩი (3ქ, 9მ), ჰარტო (5ქ, 8მ)...

„მეთხუთმეტე, ანუ ოცდამეთერთმეტე“ - ეს მათემატიკურ წესებში არ ჯდება, სამაგიეროდ საკალათბურთო რეალობას ასახავს: საქართველოს ნაკრებმა B დივიზიონში მე-15 ადგილი დაიკავა. ევროპის ჩემპიონატზე (A ლიგაში) 16-მა ნაკრებმა ითამაშა. 15+16=31 - საქართველოს 18-წლამდელთა კრებული ევროპაში ოცდამეთერთმეტეა. არადა, 2004 წელს ამ ასაკის ქართველებმა ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს. მას მერე ჭაბუკთაგან B დივიზიონში წარმატებას ამაოდ ველით.

წლეულს 20-წლამდელთა ნაკრების ეფექტური გამოსვლის შემდეგ ქომაგი 18-წლამდელებსაც იმედის თვალით უყურებდა, თუ ფინალში გასვლას არა, პლეი ოფში თამაშს ელოდა, მაგრამ პირველივე მატჩში უნგრეთთან 41:69 წაგებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და მას მერე **მიხეილ ბერუაშვილის** შეგირდებს საკუთარი თამაშის პოვნა ძალიან გაუჭირდათ. ხარისხი ბოლო მატჩებში გამოასწორეს, მაგრამ უკვე გვიან იყო...

ჰოდა, შაბათს ქართველები მეთხუთმეტე ადგილისთვის მატჩში ნორვეგიელებს დაუპირისპირდნენ. ჩვენებმა განსაკუთრებით ეფექტურად მეათედან ოცდამეათე წუთამდე ითამაშეს, როცა სკანდინავიელებს 31:13 მოუგეს. საფინალო ანგარიშიც შთამბეჭდავია - 70:47.

ბოლოს დავსვათ კითხვა: რას უნდა ველოდეთ 18-წლამდელებისგან 2012 წელს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: უკეთეს შედეგს. აი, რატომ: წლევანდელ ჭაბუკთა ნაკრებში ერთბაშად რვა 1994 წელს დაბადებული იყო. ისინი ერთი წლით უფროსებში გამოდიოდნენ და გაისადაც მოუწევთ 18-წლამდელთა ნაკრების ღირსების დაცვა. ვარნაში მიღებული გამოცდილება მათ სამომავლოდ აუცილებლად გამოადგებათ. გუნდის ლიდერიც 94-იანი გახლდათ - **ბექა ბურჯანაძე**, რომელიც ბიძაშვილის, **ზაზა ფაჩულიას** დარად 7-ნომრიანი მაისურით თამაშობდა და საშუალოდ 14.7 ქულასა და 11.7 მოხსნას აგროვებდა. საინტერესოა, რომ ქართველთაგან ყველაზე მეტი სამქულიანი სწორედ 201 სმ სიმაღლის ბურჯანაძემ ჩააგდო - 12.

● საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

FIBA EUROPE

U16 EUROPEAN CHAMPIONSHIP MEN DIVISION B STRUMICA 2011

Strumica 2011

თითქმის გავედით

შტერმოსა, მაკედონია

30 ივლისი

საქართველო-ინგლისი 58:69

11:27, 10:18, 22:7, 15:17

საქართველო: ბოლქვაძე (18 წთ, 9ქ), ქიტოშვილი (4 წთ), ამირხანაშვილი (4 წთ), ლილუაშვილი (22 წთ, 4ქ, 2ვ, 3ჩ), ტომარაძე (15 წთ, 10ქ, 2ჩ), დვალი (6 წთ), აბულაძე (30 წთ, 12ქ, 3ვ), ჯაყელი (15 წთ, 2ჩ), ცქიტიშვილი (15 წთ, 7ქ, 5მ), გამრეკლიძე (29 წთ, 10ქ, 6მ), დარახველიძე (33 წთ, 4ქ, 8მ, 4ვ, 3ჩ), პულუზაშვილი (9 წთ, 2ქ).

ინგლისი: ნელსონი (16ქ), ისააკსი (11ქ, 6მ, 6ჩ), ოკროსი (12ქ)...

31 ივლისი

მაკედონია-საქართ. დ.დ. 69:70

16:19, 13:14, 18:12, 11:13, 11:12

მაკედონია: მიტროვი (12ქ), კრსტევსკი (10ქ), ნაჩევსკი (8ქ, 6მ, 4ვ), მლადენოვსკი (19ქ, 11მ)...

საქართველო: ბოლქვაძე (24 წთ, 14ქ, 5მ, 3ვ), ლილუაშვილი (28 წთ, 13ქ, 2ვ), ტომარაძე (12 წთ), დვალი (8 წთ), აბულაძე (34 წთ, 17ქ, 4ვ, 4ჩ, 6მ), ჯაყელი (21 წთ, 4ქ, 2ვ), ცქიტიშვილი (30 წთ, 2ქ, 8მ), გამრეკლიძე (24 წთ, 6ქ, 6მ, 2ვ), დარახველიძე (18 წთ, 4ქ, 7მ, 2ვ), პულუზაშვილი (21 წთ, 8ქ, 6მ, 7დ).

გუნდი	თ	მ	ნ	ს/ხ	ქ
1. ინგლისი	4	4	0	286/225	8
2. საქართველო	3	2	1	198/205	5
3. ლუქსემბურგი	3	1	2	209/224	4
4. რუმინეთი	3	1	2	184/203	4
5. მაკედონია	3	0	3	191/211	3

ღლეს

21:00 საქართველო-რუმინეთი

21:00 მაკედონია-ლუქსემბურგი

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა მაკედონიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მასპინძლები დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა და მომდევნო ეტაპის საგზური თითქმის გაიხადა. „თითქმისო“, იმიტომ ვამბობთ, რომ არის მცირე შანსი, საქართველო რუმინეთთან დამარცხდეს, სხვა კონკურენტებმა მოიგონ და ქულებით გაგვითანაბრდნენ. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ **გია კაზანჯიანის** შეგირდები ლუქსემბურგის მაგალითს მიბაძავენ და რუმინეთს სძლევენ.

ინგლისი სხვებზე ძლიერია და ოთხივე შეხვედრა მოიგო. მათ შორის საქართველოსთან. ჯგუფში მეორე ადგილისთვის კი ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძოდა: რუმინეთი, საქართველო, ლუქსემბურგი და მაკედონია. ბევრს წყვეტდა ჩვენი და მასპინძლების დაპირისპირება: მაკედონიელების გამარჯვების შემთხვევაში შანსი ყველას რჩებოდა, ხოლო ქართველთა მოგება დანარჩენებს შანსებს საგრძნობლად შეუმცირებდა.

გადამწყვეტი მატჩისთვის გია კაზანჯიანის გუნდი მზად აღმოჩნდა. ძირითადი დროის დასრულებამდე წუთით ადრე **ბოლქვაძემ** ორი ორქულიანი ჩააგდო და საქართველო 58:56 დაანინაურა, თუმცა **გავრილოვსკიმ** მალე ანგარიში გაათანაბრა და ოვერტაიმი დაინიშნა.

დამატებითი ხუთწუთიანის დასრულებას 1:18 წუთი უკლდა, როცა **ცქიტიშვილის** ზუსტი ტყორცნის შედეგად სტუმრები წინ გაიჭრნენ - 68:63. ერთ წუთში 5-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა სირენამდე 5 წამით ადრე **მიტროვმა** სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა - 68:69. 5 წამში გუნდებმა საჯარიმო ტყორცნები გაცვალეს, **ლილუაშვილმა** და მიტროვმა თითო სროლა გამოიყენეს და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა - 70:69.

გვერდი მოამზადა

ვაჟა სიმონიშვილმა

სამი ერი

ბოკეს კიდევ ერთი სირცხვილი

ახ.ზელანდია-სამ.აფრიკა 40:7

ახალი ზელანდია (15-9) მულიაინა, ჯეინი, სმიტი (ვილიამსი 49), ნონუ (სლედი 66), გილფორდი, კარტერი, ქოუანი (ვიპუ 53). (1-8) კროკეტი, ჰორი (ფლინი 71), ფრენკსი (აფოა 42), ვაითლოქი, ვილიამსი, კაიონო (მესამი 58), მაკქოუ, თომსონი.

ნლ: კროკეტი, გილფორდი (2), ჯეინი (2), სლედი. 2გ,2ს: კარტერი.

სამხრეთ აფრიკა (15-9) ლამბიე, ბესონი (ნდუნგანე 66), იაკობსი (ულიფიე 67), დე იონგი, მვოვო, სტეინი (მაკლოიდი 64), პინარი. (1-8) გრეილინგი, სმიტი, კრუხერი (რელეპელე 44), მოსტერტი (კანკოვსკი 71), ჰარგრეივზი, სტიგმანი (დეიზელი 54), დეისელი, როსუ.

ლ: სმიტი. გ: სტეინი

მსჯი: ალან როლანი (ირლანდია)

როგორც მოსალოდნელი იყო, სამი ერის მეორე ტურის მატჩში ახალი ზელანდიის ნაკრებმა შინ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს დიდი ანგარიშით - 40:7 მოუგო.

ამ შეხვედრას წინ საკმაოდ უცნაური ამბები უძღოდა. ცხადია, გასაკვირი არ იქნება და ისედაც ყველა მიხვდება, რომ ეს უცნაურობა, ვისგან, თუ არა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელის **პიტერ დე ფილიერსისგან** მოდის. მან სამი ერის გათამაშების დაწყებამდე ოფიციალურად განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის 21 მორაგბეს სხვადასხვა დიმძიმის ტრავმა აწუხებთ და დასვენება, იარების მოშუშება სჭირდებათო.

თუმცა ისინი რუსტენბურგის საწვრთნელ ბაზაზე შენიშნეს, სადაც ლამის საიდუმლო სანვრთნელი ბანაკი მოაწყვეს. ერთი სიტყვით, რა უნდა და რას გეგმავს დე ფილიერსი, არავინ უწყის. ძნელი სავარაუდოა, რომ ის ვინმეს, რამეს უმალავდეს, რადგან „ბოკეს“ თამაშს მისი ძირითადი კონკურენტები მსოფლიოს თასზე, ძალიან კარგად იცნობენ და პირიქით.

საქმეს კი, ისეთი პირი უჩანს, მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე სამხრეთ აფრიკის ნაკრებს სრული ფიასკო ელის (ცხადია, თუ ასე განაგრძო) და იქნებ დე ფილიერსიც მოიშორონ თავიდან, რომელსაც აქაური რაგბისთვის კარგი არაფერი მოუტანია.

სამხრეთაფრიკელთაგან განსხვავებით მატჩს სრული საბრძოლო შემადგენლობითა და განწყობით შეხვდა ახალი ზელანდიის ნაკრები. „ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** შემადგენლობაში, რომელმაც ერთი კვირის წინათ ფიჯის ნაკრებთან ტესტმატჩში ითამაშა, ოთხი ცვლილება განახორციელა. ძირითადში ითამაშა მგეზავმა **დენ კარტერმა**, რომელმაც შეხვედრაში 10 ქულა მოაგროვა და ინგლისელი მგეზავის, **ჯონი ვილკინსონის** მსოფლიო რეკორდი მოხსნა.

„ოლ ბლექსმა“ ანგარიში დასაწყისშივე, მე-3 წუთზე კარტერის საჯარიმოთი გახსნა - 3:0. მასპინძლების უპირატესობა იმდენად დიდი იყო, მეთოთხმეტე წუთისთვის, **უეით კროკეტისა** და **ზაკ გილფორდის** თითო ლელოს წყალობით, უკვე 13 ქულით დაწინაურდნენ - 13:0.

სამხრეთაფრიკელებმა ანგარიშის შემცირება 29-ე წუთზე მოახერხეს. ლელო „ბოკეს“ კაპიტანმა **ჯონ სმიტმა** მიითვალა, გარდასახვა **მორნი სტეინმა** დაარტყა - 7:13. ეს იყო ბოლო, რაც კი „ბოკემ“ ხეირიანი მოიმოქმედა და თავისი მონაგარისთვის აღარაფერი დაუმატებია.

„ოლ ბელქსმა“ კი პირიქით, თამაშს უმატა, სისწრაფესაც და ტაიმის დასრულებემდე ორი წუთით ადრე გარემარბმა **ქორი ჯეინმა** სტუმრებს მესამე ლელო გაუტანა, კარტერმა ეს ლელოც ვერ გარდასახა - 18:7, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ მოედანზე არაფერი შეცვლილა. ახალი ზელანდიის ნაკრები ისევ სწრაფად და, როგორც სჩვევია, ლამაზად ირჯებოდა. ექვსი ლელოდან, რომლებიც მასპინძლებმა მეტოქეს გაუტანეს, ხუთი უკანახაზელების ანგარიშზეა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ქორი ჯეინმა კიდევ ერთი ლელოს გატანა შეძლო. რასაც ოდნავ მოგვიანებით, შეცვლაზე შესული **კოლინ სლედის** ლელო მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ სლედმა შუამარბი **მაა ნონუ** შეცვალა, ანუ გრემ ჰენრი იმდენად დარწმუნებული იყო თავისი გუნდის გამარჯვებაში, რომ თვით მსოფლიოს თასის მფლობელთან ექსპერიმენტს მიმართა და ორი მგეზავით თამაში სცადა.

ამ ხერხმა გაამართლა, რადგან მეექვსე ლელო მატჩში ახალ ზელანდიას კიდევ ერთმა გარემარბმა **ზაკ გილფორდმა** მიითვალა. საბოლოოდ „ოლ ბლექსმა“ „ბოკე“ 40:7 გაანადგურა.

მატჩის შემდეგ პიტერ დე ფილიერსმა აღიარა, რომ წლეულს სამხრეთ აფრიკის ნაკრები სამი ერის გათამაშებას ვერ მოიგებს. საოცარია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის ყველას დასცინის. სხვაგვარად მის მიერ გაკეთებული კომენტარების აღქმა, უბრალოდ, შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრებმა ამ გამარჯვებით „თავისუფლების თასის“ შენარჩუნება შეძლო, რომელიც ამ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებისას თამაშდება.

აქვე იმაზეც უნდა ვთქვათ, რომ „ოლ ბლექსი“ ქომაგების წინაშე კვართების განახლებული დიზაინით წარსდგა. მთლიანად შავ მაისურზე ერთი დეტალი შეიცვალა. ახალზელანდიელთა კვართის საყელო თეთრი გახდა. ამით „ოლ ბლექსის“ ამჟამინდელმა თაობამ პატივი მიაგო 1987 წელს მსოფლიოს თასის მომგებ ნაკრებს, რომელიც ანალოგიური კვართით ასპარეზობდა.

„უდიდესი პატივია ახალი ზელანდიის ნაკრების კვართის დიზაინის შექმნაში მონაწილეობის მიღება. თეთრი საყელო კვართებს ჩვენი თხოვნით დაამატეს. „ოლ ბლექსი“ თაობებს სწორედ ასეთი ახსოვს. ამაყი ვარ, რომ წილად მხვდა ამ კვართში გამოწყობილმა ჩვენი ქვეყნის ღირსება დავიცავ“ - თქვა „ოლ ბლექსის“ კაპიტანმა **რიჩი მაკქოუმ.**

საგურნირო მდგომარეობა

1. ახალი ზელანდია - 5 ქულა, 2. ავსტრალია - 0, 3. სამხრეთ აფრიკა - 0

6 აგვისტო

ახალი ზელანდია-ავსტრალია

13 აგვისტო

სამ.აფრიკა-ავსტრალია

20 აგვისტო

სამ.აფრიკა-ახალი ზელანდია

27 აგვისტო

ავსტრალია-ახალი ზელანდია

მაა ნონუს სალელოვე შეტევა

მსოფლიოს თასი

პაპარა ეკეტაჰუნა საქართველოს უჭომაგებს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს თასისთვის მზადებას საფრანგეთში, საკურორტო ქალაქ კანთან ახლოს მდებარე სპორტულ ბაზაზე განაგრძობს. 3 აგვისტოს „ბორჯრალოსნები“ მზადების პირველ ეტაპს, ფიზიკური კონდიციების დახვეწას დაასრულებენ, რის შემდეგაც ტაქტიკური მონახაზების დახვენაზე ივარჯიშებენ. 13 და 20 აგვისტოს კი ჩვენი გუნდი ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავს.

ამასობაში კი კვლავ დიდი სამზადისია ახალ ზელანდიაში. როგორც უკვე ვწერდით, ქალაქ მასტერტონის მცხოვრებლები, სადაც საქართველოს ნაკრები ერთ კვირას დაყოფს, ჩვენი გუნდის ქომაგები იქნებიან და „ბორჯღალოსნების“ დასახვედრად ემზადებიან.

მასტერტონელებს მხარი აუბეს ახლოს მდებარე დასახელებული პუნქტების მცხოვრებლებმაც. მასტერტონიდან ნახევარი საათის სავალზე მდებარეობს პატარა ქალაქი ეკეტაჰუნა, რომელიც ბუმბერაზი კივების სამშობლოდ ითვლება და „კივების ქვეყნად“ მოიხსენიებენ. ამ ქალაქის მკვიდრებმა გადაწყვეტეს, საქართველოს ნაკრებს დაუჭირონ მხარი და მხურვალე ქომაგობას გვპირდებიან.

ჯვრისწერა

მაიკ თინდოლი და ზარა ფილიპსი

მაიკ თინდოლი ბრიტანეთის სამეფო ოჯახში

ინგლისის ნაკრების ყოფილი მორაგბე, მსოფლიო რაგბის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი **მაიკ თინდოლი** ბრიტანეთის სამეფო ოჯახს დაუნათესავდა. თინდოლმა შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში ჯვარი დაიწერა დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედის უფროს შვილიშვილ **ზარა ფილიპსზე.**

ამ წყვილის ურთიერთობის შესახებ დიდი ხანია წერდა ინგლისური ყვითელი პრესა. მაიკმა და ზარამ დაახლოებით ერთი წლის წინათ განაცხადეს ოჯახის შექმნის შესახებ. ჯვრისწერის ცერემონიას, რომელიც თითქმის გასაიდუმლოებულ ვითარებაში მოეწყო, სამეფო კარი სრული შემადგენლობით დაესწრო. აქ იყო თავად დედოფალი ელისაბედი, ასევე ედინბურგის ჰერცოგი, უელსის პრინცი, კორნოულის ჰერცოგი და **პრინცი ჰარი**, რომელიც რაგბის დიდი ქომაგი და მეოხია.

ცხადია, მაიკ თინდოლს მაყრიონში მეგობრები, ინგლისის ნაკრების ყოფილი მორაგბეები **იან ბოლშო, ჯეიმს სიმპსონ-დენიელი, ენდი ბიტი,** და **ჯონი ვილკინსონი** ახლდნენ. აქვე იყვნენ ინგლისის ნაკრების ყოფილი და ამჟამინდელი მწვრთნელები, სერ **კლაივ ვუდვორდი** და **მარტინ ჯონსონი.**

ლეგიონერები

მომავალმა მეგობარმა ერთი მოიგო

საფრანგეთში საქართველოს ნაკრების გარდა ადგილობრივი კლუბებიც ემზადებიან და საწვრთნელ შეხვედრებს მართავენ. ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკი“ კიდევ ერთ მეორედივიზიონელ „ალბის“ ეთამაშა და 36:15 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ქართველ მორაგბეთა გუნდის მწვრთნელი **პიერ ბრონკანია,** „ალბის“ კი მამამისი, საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტანტი, **ანრი ბრონკანი** წვრთნის.

ნაცარაშვილმა და ასეიშვილმა თითო ტაიმი ითამაშეს. დათუნაშვილი ეროვნულ ნაკრებშია და მსოფლიოს თასისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ 13 აგვისტოს, კლერმონთან ახლოს, პატარა ქალაქ ისუარში, ბორჯღალოსნები სწორედ „ორიაკს“ დაუპირისპირდებიან.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

იტალიის ნაკრები

სერბეთმა ბიტული დაკარგა

შანხაიში წყალბურთის ტურნირიც დასრულდა და მამაკაცებს შორის ახალი ჩემპიონი გავიცანით. ეს გახლავთ იტალიის ნაკრები, რომელმაც ბოლო წლებში ყველა ტიტულის მომგები სერბეთი დაამარცხა.

ფინალში მაყურებელმა გოლების მცირე რაოდენობა იხილა. ძირითადი დრო 6:6 დასრულდა, რის შემდეგაც ორი დამატებითი პერიოდი დაინიშნა. თავიდან იტალია გავიდა წინ, მაგრამ იქვე სერბმა **ფილიპ ფილიპოვიჩმა** თანაფარდობა აღადგინა. პერიოდის დასრულებამდე 35 წამი რჩებოდა, როცა **მაურიციო ფელუჯომ** გადამწყვეტი გოლი გაიტანა - 8:7. მეორე პერიოდში ანგარიში აღარ შეცვლილა და იტალიამ 1994 წლის შემდეგ პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი.

ქალებში პირველობა საბერძნეთმა მოიგო, რომელმაც ფინალში მასპინძელთა ნაკრები დაამარცხა.

■ ■ ■

საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. სულ გათამაშდა მედლების 66 კომპლექტი. აქედან 20 სახეობა არაოლიმპიური იყო. პირველობა ამერიკის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა. აშშ პირველი იყო საერთო ჩათვლაში, ცურვის ჩათვლასა და ოლიმპიური სახეობების ჩათვლაში.

საერთო ჩათვლა

	ო	ვ	ბ	ქ
1. აშშ	17	6	9	32
2. ჩინეთი	15	13	8	36
3. რუსეთი	8	6	4	18
4. ბრაზილია	4	0	0	4
5. იტალია	3	4	2	9
6. ბრიტანეთი	3	3	0	6
7. ავსტრალია	2	10	4	16
8. საფრანგეთი	2	4	5	11
9. ჰოლანდია	2	1	3	6
10. საბერძნეთი	2	1	1	4
11. დანია	2	1	0	3
12. გერმანია	1	3	9	13
13. შვედეთი	1	1	0	2
14. უნგრეთი	1	0	4	5
15. შვეიცარია	1	0	0	1
15. ბულგარეთი	1	0	0	1
15. ჩრ. კორეა	1	0	0	1
15. ბელარუსი	1	0	0	1
15. ნორვეგია	1	0	0	1
20. კანადა	0	4	3	7
21. იაპონია	0	4	2	6
22. ესპანეთი	0	1	5	6
23. პოლონეთი	0	1	0	1
23. სერბეთი	0	1	0	1
25. ს. აფრიკა	0	0	3	3
26. მექსიკა	0	0	2	2
27. უკრაინა	0	0	1	1
27. ხორვატია	0	0	1	1

ცურვის ჩათვლა

	ო	ვ	ბ	ქ
1. აშშ	16	5	8	29
2. ჩინეთი	5	2	7	14
3. ბრაზილია	3	0	0	3
4. ავსტრალია	2	8	3	13
5. საფრანგეთი	2	3	5	10
6. ბრიტანეთი	2	3	0	5
6. იტალია	2	3	0	5
8. ჰოლანდია	2	1	3	5
9. დანია	2	1	0	3
10. რუსეთი	1	3	0	4
11. შვედეთი	1	1	0	2
12. უნგრეთი	1	0	3	4
13. ბელარუსი	1	0	0	1
13. ნორვეგია	1	0	0	1
13. ჩრ. კორეა	1	0	0	1
16. იაპონია	0	4	2	6
17. კანადა	0	3	1	4
18. პოლონეთი	0	1	0	1
19. გერმანია	0	0	5	5
20. ს. აფრიკა	0	0	3	3

ლოხტემ ხუთით დაასრულა, ფელპსმა ოთხით

ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს მეორე ინდივიდუალური ოქრო მოიგო **მაიკლ ფელპსმა**. 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ლიდერისთვის განკუთვნილ მეოთხე ბილიკზე ცურავდა. მართალია, დისტანციის პირველი ნახევარი ის მხოლოდ მესამე იყო, სამაგიეროდ, საფინიშო სპურტში მას ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა და ფელპსმა ტიტული შეინარჩუნა. მაიკლისთვის ეს საიუბილეო, 25-ე ოქროა მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

ბრაზილიელმა **სეზარ სელიო ფილიომ** დაამტკიცა, რომ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კონკურენტი არ ჰყავს. ჩემპიონმა ამ მოკლე დისტანციაზე უახლოეს მდევარ **ლუკა დოტოს** ნახევარი კორპუსი მოუგო. თუმცა იტალიელი მაინც კმაყოფილი იყო შედეგით, რადგან ეს მის დიდ პროგრესზე მიუთითებს.

ნამდვილი მასტერ-კლასი აჩვენა ამერიკის ქალთა ნაკრებმა 4x100 მეტრზე კომპლექსურ ესტაფეტაში. აშშ-ს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა: **ნატალი კაფლინი, რებეკა სონი, დანა ვოლმერი** და **მელისა ფრანკლინი**. თითქმის მთელი დისტანცია ეს გუნდი მსოფლიო რეკორდის გრაფიკით ცურავდა, მაგრამ ბოლოს 0,17 წამი დააკლდა. მეორე და მესამე ადგილებზე კარგა ხანი რუსები და ჩინელები იყვნენ. მასპინძლებმა შეინარჩუნეს ვერცხლის მედალი, რუსეთმა კი ბოლოს ავსტრალიასთან ნააგო და მედლის გარეშე დარჩა.

ბატერფლაიში 50 მეტრზე ფავორიტი **ტერეზა ალშამარი** იყო, მაგრამ შვედს ზედ ფინიშზე გაუსწრო **ინგე დეკერმა**. ჰოლანდიელმა კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის ინდივიდუალური ოქრო. მანამდე ის მხოლოდ ესტაფეტებში იმარჯვებდა.

200 მეტრზე გულაღმა ცურვაში რუსი **ანასტასია ზუევას** ტრიუმფს ელოდნენ, მაგრამ ის ფინალშიც კი ვერ გავიდა. მის არყოფნაში მელისა ფრანკლინმა გაიმარჯვა. ამერიკელს მაისში მხოლოდ 16 წელი შეუსრულდა, ის კი უკვე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია. ამ გაცურვაში მელისა მსოფლიოს რეკორდის გრაფიკით ცურავდა, მაგრამ ცნობილი ზიმბაბველის **კირსტი ქოვენთრის** რეკორდი შენარჩუნდა. სხვათა შორის, ქოვენთრიმ აქ ფინალში გასვლა ვერ შეძლო.

დრამატულად ნარიმართა 800 მეტრზე ქალებს შორის ფინალი. დანიელი **ლოტე ფრიისი** 770 მეტრის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ ბოლო 30 მეტრზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბრიტანელმა **რებეკა ედლინგტონმა** ბრწყინვალე ტემპი განავითარა და სულ მცირედით მოუგო დანიელს.

■ ■ ■

გუშინ კი მსოფლიოს ჩემპიონატი შვიდი ფინალით დასრულდა. ხუთი ოქროთი დაასრულა პირველობა ამერიკელმა **რაიან ლოხტემ**. ბოლო დისტანცია, რომელზეც მან გაიმარჯვა, 400 მეტრი კომპლექსური ცურვა იყო. ჩემპიონატის მთავარ გმირს კონკურენტი არ ჰყოლია (რაიანმა უახლოეს მდევარს 4 წამზე მეტი მოუგო) და ინტრიგა მხოლოდ მაიკლ ფელპსის რეკორდის დამხობაში იყო, მაგრამ ლოხტემ ამ პირველობაზე მეორე რეკორდის დამყარება ვერ შეძლო.

მეოთხე ოქრო მოიგო ფელპსმა - ეს მოხდა 4x100 მეტრზე კომპლექსურ ესტაფეტაში. სანამ ბატერფლაის ჯერი დადგებოდა, აშშ-ის ნაკრები პოდიუმის მიღმა იყო და სწორედ ფელპსმა ბატერფლაით ასი მეტრის გაცურვის შემდეგ თავისი გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა, ხოლო გამარჯვება ამერიკელებს თავისუფალი სტილით მოცურავე **ნათან ედრიენმა** მოუტანა. დაძაბული ბრძოლა იყო სხვა სინჯის მედლებისთვის. ავსტრალია 100 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონ **ჯეიმს მაგნუსენს** უნდა უმადლოდეს ვერცხლის მედალს - ესტაფეტის ბოლო ნაწილში სწორედ მან გაიყვანა ეს გუნდი მეოთხედან მეორე ადგილზე. პირველი 300 მეტრი ლიდერობდა იაპონია, მაგრამ ამ ნაკრებს თავისუფალ სტილში ძლიერი მოცურავე არ ჰყავს, რის გამოც აზიელთა გუნდი მეოთხე აღმოჩნდა. ბრინჯაო გერმანიას ერგო, რომლის რიგებში ესტაფეტას **პაულ ბიდერმანი** ასრულებდა.

კაცებს შორის 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ორი ფავორიტი იყო - **ლაიამ ტენკოკი** და **კამილ ლაკური**. ფრანგმა ლაკურმა ფინიშზე მხოლოდ 0,07 წამი წააგო მსოფლიოს რეკორდსმენთან და ეს იმის გამო, რომ ტენკოკზე ცუდი სტარტი ჰქონდა.

ჩემპიონატზე მსოფლიოს მეორე რეკორდის ავტორი გახდა ჩინელი **იან სუნი**. მარათონულ 1500 მეტრზე მის უპირატესობაში პირველივე მეტრებიდან არავის შეჰპარვია ეჭვი, თუმცა მსოფლიოს რეკორდის გრაფიკს ჩამორჩებოდა. მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარი ჩინელმა ბრწყინვალედ გაცურა და 0,42 წამი ჩამოაკლო წინა რეკორდს.

ქალებს შორის პირველი ფინალი იყო 50 მეტრი ბრასით ცურვაში. პირველობა სამმა ფავორიტმა გაითამაშა - რებეკა სონიმ, **ჯესიკა ჰარდიმ** და **იულია ეფიმოვამ**. ჰარდის სხვებზე უკეთესი სტარტი გამოუვიდა და ამის ხარჯზე გაიმარჯვა. დაძაბული იყო ვერცხლის მედლისთვის ბრძოლა და ეფიმოვამ მხოლოდ 0,09 წამით აჯობა სონის.

ამავე დისტანციაზე, ოღონდ თავისუფალი სტილით ცურვაში ბოლო მომენტამდე რთული იყო რომელიმე მოცურავისთვის უპირატესობის მინიჭება. მოულოდნელად ბოლო მეტრზე ყველაზე კარგი ფინიში 34 წლის შვედ ტერეზა ალშამარს გამოუვიდა. აქ ცურავდა ჯესიკა ჰარდიც, მაგრამ ბრასის ფინალის მოგების შემდეგ მან ამჯერად ბოლო ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ინდივიდუალური სტარტი ქალებს შორის 400 მეტრი კომპლექსური ცურვა იყო. ბრასის ეტაპამდე ბრწყინვალედ მიდიოდა ავსტრალიელი **სტეფანი რაისი**, მაგრამ სწორედ ბრასმა დაღალატა, სადაც მას აშკარად აჯობა **ელიზაბეტ ბეისელმა** და ამის წყალობით ჩემპიონი გახდა, რაისმა კი მეორე ადგილიც ვერ შეინარჩუნა, რადგან **ჰანა მაილიმაც** გაუსწრო.

კაცები

50 მ. თავისუფალი. 1. სეზარ სიელო ფილი (ბრა) - 21,52; 2. ლუკა დოტო (იტა) - +0,38; 3. ალან ბერნარი (საფ) - +0,40...

100 მ. ბატერფლაი. 1. მაიკლ ფელპსი (აშშ) - 50,71; 2. კონრად ჩერნიაკი (პოლ) - +0,44; 3. ტაილერ მაკგილი (აშშ) - +0,55...

400 მ. კომპლექსი. 1. რაიან ლოხტე (აშშ) - 4:07,13; 2. ტაილერ კლერი (აშშ) - +4,04; 3. იუა ჰორიჰატი (იაპ) - +4,85...

50 მ. გულაღმა. 1. ლაიამ ტენკოკი (ბრიტ) - 24,50; 2. კამილ ლაკური (საფ) - +0,07; 3. გერჰარუ ზანდბერგი (ს. აფრ) - +0,16...

1500 მ. თავისუფალი. 1. იან სუნი (ჩინ) - 14:34,14; 2. რაიან კოჰრეინი (კან) - +10,32; 3. გერგო კიში (უნგ) - +11,52...

4x100 მ. კომპლექსი. 1. აშშ (ტომანი, გენგლოფი, ფელპსი, ედრიანი) - 3:32,06; 2. ავსტრალია - +0,20; 3. გერმანია - +0,54...

ქალები

50 მ. ბატერფლაი. 1. ინგე დეკერი (ჰოლ) - 25,71; 2. ტერეზა ალშამარი (შვედ) - +0,05; 3. მელანი ენიკი (საფ) - +0,15...

200 მ. გულაღმა. 1. მელისა ფრანკლინი (აშშ) - 2:05,10; 2. ბელინდა ჰოკინგი (ავსტრა) - +0,96; 3. შარონ ვან რუვენდაალი (ჰოლ) - +2,68...

800 მ. თავისუფალი. 1. რებეკა ედლინგტონი (ბრიტ) - 8:57,51; 2. ლოტე ფრიისი (დან) - +0,69; 3. კეიტ ციგლერი (აშშ) - +5,85...

4x100 მ. კომპლექსი. 1. აშშ (კაფლინი, სონი, ვოლმერი, ფრანკლინი) - 3:52,36; 2. ჩინეთი - +3,25; 3. ავსტრალია - +4,77...

50 მ. თავისუფალი. 1. ტერეზა ალშამარი (შვედ) - 24,14; 2. ჯანომი კრომოვიდოიო (ჰოლ) - +0,13; 3. მარლეენ ველდჰუისი (ჰოლ) - +0,35...

50 მ. ბრასი. 1. ჯესიკა ჰარდი (აშშ) - 30,19; 2. იულია ეფიმოვა (რუს) - +0,30; 3. რებეკა სონი (აშშ) - +0,39...

400 მ. კომპლექსი. 1. ელიზაბეტ ბეისელი (აშშ) - 4:31,78; 2. ჰანა მაილი (ბრიტ) - +2,44; 3. სტეფანი რაისი (ავსტრა) - +2,45...



იან სუნმა ჩემპიონატი რეკორდით დაასრულა

ᲠᲐᲚᲘ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ლოები ფინეთშიც მაგარია

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **სებასტიან ლოებმა** მორიგი გამარჯვებით შეაესო თავისი მდიდარი კოლექცია: შაბათს ლეგენდარულმა ფრანგმა მოიგო ფინეთის კლასიკური რალი და პირად ჩათვლაში ლიდერობა განიმტკიცა.

სამი დღის განმავლობაში ლოები ლიდერობდა ამ პოპულარულ ეტაპს და მხოლოდ ერთხელ დაუთმო პირველი ადგილი „სიტროენში“ თავის თანაგუნდელ **სებასტიან ოჟიეს**. გარდა ამისა, ლოებს ფინელი **იარი-მატი ლატვალაც** ებრძოდა, მაგრამ რალის ბოლო დღეს მსოფლიოს ჩემპიონმა კონკურენტებს შანსი არ დაუტოვა.

როგორც ცნობილია, ფინეთის რალიში ყველაზე კარგად ადგილობრივი რალისტები გამოდიან, მაგრამ ამ გამარჯვებით ლოები გახდა პირველი არასკანდინავიელი პილოტი, ვინც მეორედ გაიმარჯვა ფინურ ეტაპზე.

ოჟიემ კი დისტანციის ბოლოს საბურავის დაზიანების გამო მეორე ადგილი დაუთმო ლატვალას, სულ კი პირველ ათეულში ოთხი ფინელი და სამი ნორვეგიელი პილოტი მოხვდა.

ფორმულა 1-ის ყოფილმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** მეცხრე ადგილი დაიკავა. მას უფრო მაღლა ასვლა შეეძლო, მაგრამ შაბათს, ერთ-ერთ სპეციმონაკვეთზე ტრასიდან გადავარდა და ამის გამო ბევრი დრო დაკარგა.

VIII ეტაპი. ფინეთის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 2:39.37,0; 2. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +8,1; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - +12,8; 4. **მიკო პირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +1.09,1; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - +1.16,2; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +1.27,8; 7. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +3.25,5; 8. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - +3.53,2; 9. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - +3.59,8; 10. **იუჰო ჰანინენი** (ფინეთი, „შკოდა“) - +5.13,6...

საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 171 ქულა; 2. **მიკო პირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 144; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 140; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 96; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - 83; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - 56; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - 40; 8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - 26; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - 26; 10. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“) - 20...

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲪᲣᲠᲕᲐ

აქაც ბიოლოგიური პასპორტები

ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ სპორტსმენებისთვის ბიოლოგიური პასპორტების შემოღება გადაწყვიტა. ეს პრაქტიკა უკვე დანერგილია ველოსპორტში. რეგულარული დოპინგ-სინჯები საშუალებას იძლევა შეიქმნას თითოეული სპორტსმენის ინდივიდუალური ბიოლოგიური პორტრეტი, რომელთა შესწავლა დოპინგის გამოყენების დადგენას შეუწყობს ხელს.

ანტისადოპინგო წესების გამკაცრება ცოტა ხნის წინ მომხდარი სკანდალის გამო გახდა საჭირო. როგორც იცით, დადებითი დოპინგ-სინჯის მიუხედავად, ბრაზილიელ **სესარ სელიო ფილიოს** დისკვალიფიკაცია არ მისცეს, რის შემდეგაც მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს ორი მედალი მოიგო. ბრაზილიელი ამტკიცებდა, რომ აკრძალული პრეპარატი მის სხეულში საკვები დანამატებიდან მოხვდა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ამერიკელს დოპინგი უპოვეს

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამერიკელი **რობერტ კენდრიკი** დოპინგის მიღებაშია ეჭვმიტანილი. 31 წლის სპორტსმენის სისხლში აკრძალული პრეპარატის - მეთილგეკსანეამინის კვალი აღმოაჩინეს. დოპინგ-სინჯი 22 მაისს საფრანგეთის ღია პირველობის დროს არის აღებული.

ფედერაციამ უკვე გამოუწერა ამერიკელს 12-თვიანი დისკვალიფიკაცია. ასე რომ, ჩოგბურთელი მხოლოდ 2012 წლის 21 მაისს დაუბრუნდება კორტს. მას ჩამოერთმევა 22 მაისის შემდეგ მოპოვებული ყველა ქულა და ჰონორარი. დღეისთვის კენდრიკი ATP-ის რეიტინგში 105-ე ადგილს იკავებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

შარაპოვა პრობლემა არ არის

სტენფორდის ტურნირზე წინასწარ გამოცხადებულმა სუპერმატჩმა არ გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. **სერენა უილიამსმა** ძალიან იოლად მოუგო ზედიზედ მეექვსე მატჩი **მარია შარაპოვას** და ნახევარფინალში გააღწია. არადა, ყველას ბრძოლის იმედი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ამერიკელმა წინა ეტაპზე რთული ბრძოლა გადაიტანა კიდევ ერთ რუსთან **მარია კირილენკოსთან** და მასთან ამ ტურნირზე ჯერჯერობით ერთადერთი სეტი წააგო.

შარაპოვამ ერთადერთი ბრეიკი მატჩში პირველი სეტში - 0:5-ზე გააკეთა, ანუ მაშინ, როცა დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ხოლო სერენამ თავის თავს მოდუნების უფლება მისცა. მეორე სეტში ყველაფერი ერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც უილიამსმა პარტიის დასაწყისში გააკეთა. მარიას იქვე შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ხანგრძლივ გეიმში სამი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ რუსი იოლად ინებებდა თავის მოწოდებებს, მაგრამ მეტოქის გეიმებზე უშანსოდ იყო - 6:1, 6:3 სერენას სასარგებლოდ.

უილიამსმა ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირება ნახევარფინალში გააგრძელა და ამჯერად ერთით ნაკლები გემი დასჭირდა გერმანელი **საბინ ლისიცკის** გასანადგურებლად - 6:1, 6:2. ორივე მეტოქეს 6-6 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ საბინმა აქედან ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა, სერენამ კი ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, ამასთან პირველ მოწოდებაზე ქულების 82 პროცენტი აიღო.

მეორე ნახევარფინალი კი არ გაიმართა. **მარიონ ბარტოლის** მეტოქემ **დომინიკა ციბულკოვამ** ტრავმის გამო უარი თქვა თამაშზე და ფრანგმა უკვე მეორე ეტაპი გაიარა უბრძოლველად. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში ბარტოლისთან შეხვედრა ასევე ტრავმის გამო შეწყვიტა იაპონელმა **მორიტამ**.

■ ■ ■

კანონზომიერად მიმდინარეობს ტურნირი კოლეჯ-პარკში – აქ ფინალში პირველ

შარაპოვა გაოგნებულია

ორ ნომრად განთესილი ჩოგბურთელები გავიდნენ. ნამდვილი გმირობა ჩაიდინა ავსტრიელმა **ტამირა პაჩეკმა**. მეოთხედფინალში **სტეფანი დუბუასთან** თითქმის ოთხსაათიანი მარათონის შემდეგ, პაჩეკმა სამი საათი დაჰყო კორტზე პირველი ნომრის **შაარ პეერის** წინააღმდეგ. პირველი სეტი ორი ბრეიკის წყალობით მოიგო, მეორეში კი საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ იქ ისრაელელ ჩოგბურთელს გაუმართლა. საშინლად დაღლილმა ავსტრიელმა მესამე სეტშიც არ შეწყვიტა ბრძოლა, მაგრამ ერთადერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება და ეს ფინალის საგზურის დაკარგვად დაუჯდა.

პეერი 2009 წლის შემდეგ პირველად გავიდა WTA-ის ტურნირის ფინალში. იქ მისი მეტოქე **ნადეჟდა პეტროვა** იქნება, რომელსაც ფინალში 2008 წლის შემდეგ არ უთამაშია. რუსსაც არ ეყო ორი სეტი **ირინა ფალკონის** დასამარცხებლად. ამერიკელმა, რომელიც პირველად თამაშობდა WTA-ის ტურნირის ნახევარფინალში, პირველი სეტი მოიგო, მაგრამ მომდევნო ორ სეტში მხოლოდ ოთხი გეიმი აიღო და საათსა და 46 წუთში დამარცხდა. ფალკონის გამოსვლა მაინც წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ის დღეიდან რეიტინგის პირველ ასეულში შევა.

WTA

Bank of the West Classic

სტენფორდი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 721 000 დოლარი

1/4 ფინალი

მარიონ ბარტოლი (საფ)-აიუმი მორიტა (იაპ) 6:1 უარი; **საბინ ლისიცკი (გერ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 7:6, 2:6, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-მარინა ერაკოვიჩი (ა. ზელ) 6:1, 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ)**-მარია შარაპოვა (რუს) 6:1, 6:3.

1/2 ფინალი

საბინ ლისიცკი (გერ)-**სერენა უილიამსი (აშშ)** 1:6, 2:6; **მარიონ ბარტოლი (საფ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) ციბულკოვას უარი.

Citi Open

კოლეჯ პარკი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

1/4 ფინალი

შაარ პეერი (ისრ)-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:1, 6:2; **ნადეჟდა პეტროვა (რუს)**-პოიანა იოვანოვსკი (სერ) 7:6, 7:5; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-სტეფანი დუბუა (კან) 5:7, 6:4, 7:6; **ირინა ფალკონი (აშშ)**-ვირჯინია რაზანო (საფ) 6:4, 6:3.

1/2 ფინალი

შაარ პეერი (ისრ)-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 3:6, 7:6, 6:4; **ნადეჟდა პეტროვა (რუს)**-ირინა ფალკონი (აშშ) 1:6, 6:1, 6:3.

TV პროგრამა

1 აგვისტო. ორშაბათი

НТВ-ПЛЮС (ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲗ)

18:40 რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-ამკარი (LIVE).

НТВ-ПЛЮС (ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ)

11:55 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. ავსტრალია-რუსეთი. ჩინეთი (LIVE).
15:25 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. ჩინეთი-ანგოლა. ჩინეთი (LIVE).

EUROSPORT

19:30 ველოსპორტი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-პანამა. კოლუმბია (LIVE).

EUROSPORT-2

02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ჩრ. კორეა. კოლუმბია (LIVE).

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲒᲣᲨᲢᲐᲐᲚᲘ

ვერდასკო-**გრანოლერსი** 4:6, 6:3, 3:6

ATP. ᲣᲛᲐᲒᲘ

ჩილიჩი-**დოლგოპოლოვი** 4:6, 6:3, 3:6

ATP. ᲙᲘᲜᲒᲑᲣᲚᲘ

სტარაჩე-**ჰაასე** 3:6, 2:0 უარი

ATP. ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

კუდლა-**კამკე** 4:6, 2:6

WTA. ᲡᲢᲔᲜᲤᲝᲠᲓᲘ

ბარტოლი-**ს. უილიამსი** 5:7, 1:6

WTA. ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

პეერი-**პეტროვა** 5:7, 2:6

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

კონგაჭბი არ არის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** განაცხადა: ლოკაუტი უახლოეს პერიოდში არ დასრულდება, რადგან მისმა ორგანიზაციამ კონტაქტი შეწყვიტა ლიგის ხელმძღვანელობასთან.

„პირველ ივლისამდე ჩვენ ვხდებოდით ერთმანეთს. ვცდილობდით რაღაცის გაკეთებას, მაგრამ ახლა სრული სიჩუმეა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არავის არაფერი სჭირდება“, - ამბობს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ვეტერანი მცველი.

ამასობაში, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ NBA-ის მოთამაშეებს ოფიციალურად დართო სხვა ლიგებში თამაშის უფლება.

თუ მოთამაშე რომელიმე გუნდში გამოსვლის სურვილს გამოთქვამს, NBA-ში მის კლუბს ხელის შეშლის უფლება არ ექნება, მაგრამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტის დასრულების შემდეგ კალათბურთელი ვალდებულია მაშინვე გამოცხადდეს ძველი გუნდის შემადგენლობაში. რაც შეეხება სავარაუდო ტრავმებს, FIBA კლუბის ხელმძღვანელობას უტოვებს უფლებას გააფორმოს დამატებითი დოკუმენტი, რომელიც ტრავმის მიღების შემთხვევაში მოთამაშის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს.

„როგორც კალათბურთის მმართველი ორგანო, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა პრობლემა გადაიჭრება და NBA-ის სეზონი განრიგის მიხედვით დაწყება. ხოლო იმის გამო, რომ ჩვენი მიზანია სპორტის ამ სახეობის განვითარება და პოპულარიზაცია, მხარი უნდა დავუჭიროთ კალათბურთელების მისწრაფებას, სადაც სურთ იქ ითამაშონ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ ირღვევა არც ერთი მხარის ინტერესები, უფლებები და მოვალეობები“, - ამბობს ფედერაციის გენერალური მდივანი **პატრიკ ბაუმანი**.

■ ■ ■

„დეტროიტ პისტონზმა“ შეთანხმებას მიაღწია **ლოურენს ფრენკთან**, რომელიც ერთი პერიოდი ნარმატებით მუშაობდა „ნიუ ჯერსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ოთხწლიან ხელშეკრულებას ამ კვირის დასაწყისში მოეწერება ხელი. „დეტროიტის“ გარდა ფრენკს მთავარი მწვრთნელის თანამდებობას სთავაზობდნენ „ტორონტო“ და „ჰიუსტონი“.

აღსანიშნავია, რომ ფრენკი რეკორდსმენია ახალბედა მწვრთნელებს შორის: „ნიუ ჯერსიში“ მისვლისთანავე მან გუნდს ზედიზედ 13-ჯერ მოა ებინა.

■ ■ ■

„პორტლენდის“ ფორვარდი **ნიკოლა ბატუმი** მომავალ სეზონს საფრანგეთში დაიწყებს. გაზეთ „ეკიპის“ ინფორმაციით, ფრანგმა კალათბურთელმა ზეპირ შეთანხმებას მიაღწია კლუბ „ნანისთან“.

მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ მოეწერება ხელი, როცა საბოლოო გაირკვევა, რომ NBA-ში სეზონი არ გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ბატუმი მოლაპარაკებებს აწარმოებდა „ვილერბანთან“, მაგრამ „ნანისის“ მიანიჭა უპირატესობა, რადგან ეს კლუბი ახალ სეზონში ევროლიგაზე ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ფიში დუბლის მოლოდინში

ლოს ანჯელესის ტურნირის ნახევარფინალში ოთხიდან სამი წარმომადგენელი აშშ-ს ჰყავდა, მაგრამ მაინც არ შედგება ამერიკული ფინალი. **ერნესტ გულბისმა** შეაჩერა **ალექს ბოგომოლოვის** წინსვლა და კარიერაში მეორედ გავიდა ATP-ის ტურნირის ფინალში.

აქ მისი მეტოქე **მარდი ფიში** იქნება, ვინც წინა კვირას ატლანტას ტურნირი მოიგო და ახლა დუბლს უმიზნებს. აღსანიშნავია, რომ ფიშმა ატლანტაში ნახევარფინალურ ეტაპზე თანამემამულე **რაიან ჰარისონი** ორ სეტში დაამარცხა. ახლაც ამავე სტადიაზე ისევ ამ ჩოგბურთელს გადაეყარა და ამჯერად სამი პარტიის ჩატარება დასჭირდა მის დასამარცხებლად.

მართალია, ფიში ფინალის ფავორიტად ითვლება, მაგრამ გულბისის მიერ ამ ტურნირზე განვილი გზაც არ უნდა დავიწყოთ - მეოთხედფინალში მან თვით **ხუან მარტინ დელ პოტროს** მოუგო, თანაც ორ სეტში.

■ ■ ■

ხორვატი გულშემატკივრების გასახარად, უმაგის ტურნირის ფინალში ითამაშებს **მარინ ჩილიჩი**, რომელიც კარიერაში გრუნტის პირველი ტიტულის მოპოვებას ეშურება, თანაც ხორვატ ჩოგბურთელებს უმაგში 1990 წლის შემდეგ არ გაუმარჯვიათ. ჩილიჩმა იტალიელ **ფაბიო ფონინის** 73 წუთში მოუგო.

წარმატებული სერიის გაგრძელება ვერ შეძლო ესპანელმა ვეტერანმა **ხუან-კარლოს ფერერომ** - წინა კვირას მოგებული ტურნირის შემდეგ, ამჯერად როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი ნახევარფინალურ ეტაპზე შეაჩერა უკრაინელმა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა**, რომლისთვისაც მომავალი ფინალი კარიერაში ATP-ის დონეზე პირველი იქნება.

■ ■ ■

დაბოლოს, უმაგისგან განსხვავებით, გშტაადში ორივე ნახევარფინალში ბრძოლა იყო და ორივე სამ სეტში დასრულდა.

ნახევარფინალურ ეტაპზე სამი ესპანელი თამაშობდა და მთავარ პრიზსაც ამ ქვეყნის წარმომადგენლები გაითამაშებენ. **მარსელ გრანოლერსს** რუს **მიხაილ იუჟნისთან** 15 ბრეიკ-პო-

მარინ ჩილიჩი

ინტი ჰქონდა, მაგრამ გამოყენების პროცენტი მოიკოჭლებოდა და ამიტომაც დასჭირდა ესპანელს სამი სეტის ჩატარება ერთ-ერთი ფავორიტის დასამარცხებლად.

მეორე ნახევარფინალში, რომელშიც **ნიკოლას ალმაგრო** და **ფერნანდო ვერდასკო** ხვდებოდნენ, ორი ტაი-ბრეიკი გათამაშდა, თუმცა მატჩი დროში ძალიან არ გაწელილა და ვერდასკომ ორი საათი და 10 წუთი იკმარა თანამემამულის დასამარცხებლად.

საინტერესოა, რომ გასულ კვირას ეს ჩოგბურთელები ჰამბურგში ამავე ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ალმაგრომ გაიმარჯვა, მაგრამ ახლა უფრო ძლიერი ვერდასკო აღმოჩნდა. არადა, მატჩის სტატისტიკის მიხედვით, ჩოგბურთელებმა თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვეს.

ATP

Farmers Classic

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 619 500 დოლარი

1/4 ფინალი

იენ ჰსუნ ლუ (ტაივ)-**რაიან ჰარისონი (აშშ)** 6:3, 3:6, 4:6; ტომაშ ბელუჩი (ბრა)-**ალექს ბოგომოლოვი (აშშ)** 6:1, 4:6, 1:6; **მარდი ფიში (აშშ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:2, 6:4; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:2, 6:4.

1/2 ფინალი

ერნესტ გულბისი (ლატ)-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:2, 7:6; **მარდი ფიში (აშშ)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:0, 4:6, 7:6.

Croatia Open

უმაგი (ხორვატია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

1/4 ფინალი

პოტიტო სტარაჩე (იტა)-**ფაბიო ფონინი (იტა)** 6:3, 3:6, 1:6; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:1, 6:3; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-ალბერტ რამოსი (ესპ) 6:3, 7:5; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:1, 7:6.

1/2 ფინალი

ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:4, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:2, 6:2.

Suisse Open

გშტაადი (შვეიცარია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

1/4 ფინალი

ანდრეას პეიდერ-მაურერი (ავსტრია)-**მიხაილ იუჟნი (რუს)** 4:6, 7:5, 4:6; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:3, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 4)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:4, 5:7, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:4, 7:5.

1/2 ფინალი

მიხაილ იუჟნი (რუს)-**მარსელ გრანოლერსი (ესპ)** 3:6, 6:3, 2:6; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 4)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 6:7, 7:6, 6:3.


ლოურენს ფრენკი

მძლეოსნობა

ელენა ისინბაევა

მოკრძალებული ბოლტი

მძლეოსნობის სეზონი კულმინაციას უახლოვდება. მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტამდე კიდევ ოთხი კვირაა დარჩენილი, „ბრილიანტის ლიგაზე“ კი მხოლოდ სამი ეტაპი დარჩა გასამართი. ეს კომერციული სერია მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დამთავრდება, თუმცა ამ უქმეებზე სტოკჰოლმში მაინც შესაძლებელი იყო ძვირფასი ქვის მფლობელის გამოვლენა.

საქმე ისაა, რომ სტოკჰოლმის ტურნირს თავისი წესი აქვს: ყოველი ათლეტი, რომელიც ტურნირის რეკორდს განაახლებს, მცირე ბრილიანტს მიიღებს. ეს შესანიშნავი მოტივაციაა ნებისმიერი სპორტსმენისთვის. ორგანიზატორებიც კმაყოფილნი არიან, რადგან შვედეთის დედაქალაქში მსოფლიოს 83 რეკორდია დამყარებული, რაც ქალაქებს შორის რეკორდი გახლავთ.

წელს ორგანიზატორებს მხოლოდ ორი ბრილიანტის გაცემამ მოუწიათ. **კალის სპენსერმა** ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თარჯრბენში, სამხტომში კი არასტანდარტული სიტუაცია მივიღეთ. **ოლგა სალადუხამ იარგელის სავინიეს** აჯობა, მაგრამ ორივემ საუკეთესო შედეგი ძლიერი ზურგის ქარისას (2 მ/წმ) აჩვენა და ამ შემთხვევაში რეკორდი არ ფიქსირდება. ასე რომ, ბრილიანტი კოლუმბიელმა **კატერინ იბარგუენმა** მიიღო, თუმცა ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

ორი ათლეტისკენ განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი. წელს პირველად გამოჩნდა „ბრილიანტის ლიგის“ ეტაპზე **ელენა ისინბაევა**. მასთან ერთად ჭოკით ხტომის სექტორში საუკეთესოები შეიკრიბნენ: **სილკე შპიგელბურგი, ჯენიფერ შური, ფაბიანა მიურერი** და **სვეტლანა ფეოფანოვა**.

ბრძოლა ისინბაევასა და შპიგელბურგს შორის გაიმართა. „ბრილიანტის ლიგის“ ლიდერმა გერმანელმა მესამე ცდიდან აიღო 4.64 მეტრი, შემდეგ ამდენივე ცდა დასჭირდა 4.70 მეტრის დასაძლევად. ისინბაევამ 4.64 მეტრიდან დაიწყო. პირველი ცდა არ გამოუვიდა, მეორე ნახტომის შესრულებისას შესამჩნევად შეეხო თამასას, მაგრამ გაუმართლა. 4.70 მეტრი რუსმა გამოტოვა, 4.76 კი პირველივე ცდიდან დამაჯერებლად აიღო. სხვამ ეს სიმაღლე ვერ დაძლია, რის შემდეგაც ელენამ იერიში მიიტანა ტურნირის რეკორდზე (4.86 მეტრი), მაგრამ სამივე ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

განსაკუთრებული სტარტი ჰქონდა **უსაინ ბოლტს**. ერთი წლის წინ სწორედ აქ შეწყვიტა **ტაისონ გაიმ** იამაიკელის გამარჯვებათა სერია და საერთოდაც, უსაინს არასოდეს გაემარჯვა შვედეთის დედაქალაქში. ამჯერად მან დაარღვია ეს უსიამოვნო ტრადიცია. ბოლტმა 200 მეტრი დამაჯერებლად მოიგო, თუმცა შედეგი მოკრძალებული ჰქონდა - 20.02 წამი. თავად მსოფლიოს რეკორდსმენმა დაბალი შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ტრავმის მიღების შიშით ახსნა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო **ლაშონ მერიტის** დაბრუნება. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს, ახლა მის დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა და ამერიკელი ტეგუში ტიტულის დასაცავად ემზადება. სტოკჰოლმში მერიტმა კარგი დონე აჩვენა, მაგრამ ფინიშზე სულ მცირედი წააგო **ჯერმეინ გონსალესთან**.

■ ■ ■

სტოკჰოლმში ასევე დაფიქსირდა სეზონის რამდენიმე საუკეთესო შედეგი. **ანდრეას ტორკილდსენმა** საკუთარი შედეგი გააუმჯობესა, როცა შუბი 88,43 მეტრზე ტყორცნა. მისი მთავარი მეტოქე **ტერა პიტკამიაკი** მეშვიდე ადგილზე გავიდა.

5000 მეტრზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა **ვივან ჩერუიოტმა** - 14.20.87. ეს კენიის რეკორდია, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. **მიტჩელ უოტმა** ლიდერობა განიმტკიცა სიგრძეზე ხტომაში. 23 წლის ავსტრალიელი სტოკჰოლმში 8,54 მეტრზე გაფრინდა.

ამ კვირას ლონდონში „ბრილიანტის ლიგის“ ორდღიანი ეტაპი გაიმართება - ყველა დისციპლინაში გათამაშდება პირველობა. თანაც ეს იქნება ბოლო დიდი სტარტი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ამიტომაც ბრიტანეთის დედაქალაქში ბევრი ვარსკვლავი ჩავა.

XI ეტაპი

ქალები

200 მ. 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 20,03; 2. მერვინ ანდერსონი (იამ) - 20,44; 3. ალონსო ედვარდი (პან) - 20,47...

400 მ. 1. ჯერმეინ გონსალესი (იამ) - 44,69; 2. ლაშონ მერიტი (აშშ) - 44,74; 3. კრისტოფერ ბრაუნი (ბაჰ) - 44,79...

სიმაღლეზე ხტომა. 1. ივან უხოვი (რუს) - 2,34; 2. ჯესი უილიამსი (აშშ) - 2,32; 3. მოათაზ ბარშამ აჰმედი (კატ) - 2,30; 3. ანდრეი სილნოვი (რუს) - 2,30...

ბადროს ტყორცნა. 1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტ) - 65,05; 2. პეტრ მალახოვსკი (პოლ) - 64,96; 3. ფრანკ კასანასი (ესპ) - 63,42...

ქალები

ჭოკით ხტომა. 1. ელენა ისინბაევა (რუს) - 4,76; 2. სილკე შპიგელბურგი (გერ) - 4,70; 3. ჯენიფერ კუკი (აშშ) - 4,64...

სამხტომი. 1. ოლგა სალადუხა (უკრ) - 15,06; 2. იარგელის სავინიე (კუბ) - 14,87; 3. კატერინ იბარგუენი (კოლ) - 14,83...

ბადროს ტყორცნა. 1. ვალერი ადამსი (ზელ) - 20,57; 2. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბლრ) - 20,37; 3. ჯილიან კამარენა-უილიამსი (აშშ) - 19,87...

ფორმულა 1. უნგრეთის გრანდპრი

ბრიუმფი მე-200 რბოლაში

ბრიტანელმა **ჯენსონ ბატონმა** („მაკლარენი“) კარიერაში მე-200 რბოლა ჩაატარა და ეს იუბილე უნგრეთის გრანპრის მოგებით აღნიშნა. ამისთვის მას თანაგუნდელი **ლუის ჰემილტონის** დამარცხება დასჭირდა.

პროგნოზების მიუხედავად, კვირას „ჰუნგარორინგზე“ სტარტამდე წვიმდა, რის გამოც პილოტებმა სტარტი საშუალედო საბურავებით აიღეს. პოულის მფლობელმა **სებასტიან ფეტელმა** („რედ ბული“) შეძლო ლიდერობის შენარჩუნება, მის უკან კი ორი „მაკლარენი“ იბრძოდა. ბრიტანული საჯინიბოს შეფმა **მარტინ უიტმარშმა** დიდი ნერვიულობა გადაიტანა ლუისისა და ჯენსონის დუელის ცქერისას. საბოლოოდ, ჰემილტონმა გაუძლო თანამემამულის შეტევებს და ფეტელს გაეკიდა. „მაკლარენის“ პილოტი იოლად ჩაუდგა კვალში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს და რამდენიმე წრის შემდეგ ლიდერი გახდა, როცა გერმანელი შეცდომაზე დაიჭირა.

კიდევ უფრო უკან „ფერარის“ პილოტები „მერსედესის“ წევრებს ებრძოდნენ, რომლებსაც ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდათ: **ნიკო როსბერგი** მეშვიდედან მეოთხე პოზიციაზე გადავიდა, **მიხაელ შუმახერი** - მეცხრედან მეხუთეზე. თუ **ფერნანდო ალონსომ** ორივე გერმანელის გასწრება მოახერხა, **ფელიპე მასას** ეს ბრძოლა კინაღამ რბოლიდან გამოთიშვად დაუჯდა: ფელიპემ კონტროლი დაკარგა თავის ბოლიდზე, ტრასიდან გადავარდა და უკანა ანტიფრთით კედელს შეეჯახა. „ფერარი“ სერიოზულად არ დაზიანებულა და ბრაზილიელმა ბრძოლა გააგრძელა.

პირველმა **მარკ უებერმა** („რედ ბული“) გარისკა და „სუპერსოფტის“ საბურავი დააყენა. მალე ყველამ იგივე გააკეთა. პიტსტოპების პირველი ტალღის შემდეგ ბატონმა ფეტელს გაასწრო და მეორე ადგილზე გადავიდა, მათ უკან კი მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში უებერმა ალონსოს აჯობა. მერვე ადგილისთვის იბრძოდნენ შუმახერი და მასა - ფელიპემ შეძლო ყოფილი თანაგუნდელის გასწრება, რის შემდეგაც სულ მალე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი რბოლას ჩამოშორდა - მის ბოლიდს გადაცემათა კოლოფი დაუზიანდა.

შუმახერის გავარდნამდე ისევ არ გაუმართლა **ნიკ ჰაიდფელდს** („ლოტუს-რენო“) - პიტ-ლეინიდან გამოსვლის დროს გერმანელის მანქანა აალდა - უკვე მეორედ ამ სეზონში! საბედნიეროდ, ნიკმა დროულად მოახერხა ბოლიდიდან ამოსვლა, რომლის მარცხენა ნახევარი მთლიანად დაიწვა.

ამასობაში, ბატონი ნელა, მაგრამ სტაბილურად ამცირებდა ჰემილტონთან ჩამორჩენას. ყველას ეჭვი გაუჩნდა, რომ ჯენსონს ორი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონდა არჩეული, ამიტომაც ჰემილტონს მესამე გაჩერებამდე საჭირო ჰანდიკაპის შექმნა სჭირდებოდა. შესაბამისად, ტემპს უმატა, მაგრამ ამან მისი ბოლიდის მოცურება გამოიწვია. ეს 47-ე წრეზე მოხდა, როცა ტრასაზე ისევ დაეცა წვიმის წვეთები, თუმცა წვიმა იქვე შეწყდა, მაგრამ ეს ლუისისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო - ბატონი გრანპრის ლიდერი გახდა.

მალე ლუისი ისევ ჩაუდგა რბოლას სათავეში - მან ბატონის მცირე შეცდომით ისარგებლა. მაგრამ შემდეგ ჰემილტონმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა საშუალედო საბურავი დააყენა. ორი წრის შემდეგ ისევ მოუწია ბოქსებში შეევლა „სლიკებზე“ გადასასვლელად, მალე კი პიტ-ლეინზე საჯარიმო შესვლა დაუწესეს **პოლ დი რესტას** („ფორს ინდია“) წინააღმდეგ მანევრის გამო - მოცურების შემდეგ ჰემილტონმა ტრასაზე სწრაფად დაბრუნება მოინდომა და კინაღამ დააზიანა შოტლანდიელი. ამ ყველაფერმა კი ის გამოწვია, რომ „მაკლარენის“ პილოტი მეექვსე პოზიციაზე აღმოჩნდა და დარჩენილ წრეებზე მხოლოდ ის მოახერხა, რომ მასასა და უებერის გასწრებით მეოთხე ადგილზე გადავიდა.

ბატონი კი მართლაც ორი პიტ-სტოპით შემოიფარგლა და ყოველგვარი გართულების გარეშე მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. იგივე ტაქტიკა აირჩია და მეორე იყო ფინიშთან ფეტელი - მან „მაკლარენის“ წევრთან მხოლოდ სამწამიანი ნახევარი წააგო. ამ დუეტს პოდიუმზე მხარი დაუმშვენა ალონსომ.

უნგრეთის გრან-პრი. XI ეტაპი

პუნგპარორინგი (70 წრე, 306.630 კმ)

1(3). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	1:46.42,337
2(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია)	+3,588
3(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია)	+19,819
4(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	+48,338
5(6). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია)	+49,742
6(4). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია)	+1.23,176
7(11). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი)	1 წრე
8(18). სებასტიან გუემი (ტორო როსო, შვეიცარია)	1 წრე
9(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია)	1 წრე
10(16). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი)	1 წრე
11(13). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია)	1 წრე
12(12). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი)	1 წრე
13(15). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია)	2 წრე
14(8). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია)	2 წრე
15(10). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა)	2 წრე
16(17). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა)	2 წრე
17(21). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია)	4 წრე
18(23). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრია)	4 წრე
19(24). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია)	5 წრე
20(22). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია)	5 წრე
21(19). ჯეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი)	15 წრე
22(9). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია)	42 წრე
23(14). ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია)	45 წრე
24(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია)	50 წრე

საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 234 (6 მოგება); 2. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 149; 3. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 146 (2); 4. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 145 (1); 5. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 134 (2); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 70; 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 48; 8. **ნიკ ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო, გერმანია) - 34; 9. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 32; 10. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 32; 11. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 27; 12. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 18; 13. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 12; 14. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 10; 15. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 8; 15. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 8; 17. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 4.

კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 383 ქულა; 2. **მაკლარენი** - 280; 3. **ფერარი** - 215; 4. **მერსედესი** - 80; 5. **ლოტუს-რენო** - 66; 6. **ზაუბერი** - 35; 7. **ფორს ინდია** - 26; 8. **ტორო როსო** - 22; 9. **უილიამსი** - 4.

ჰაიდფელდი და მისი ალმოდებული ლოტუსი

გასოლი ფორმულაში მიდის

„ლოსანჯელესლეიკერსის“ ფორვარდი **პაუ გასოლი**, შესაძლოა, ფორმულა 1-ის გუნდის HRT-ის მფლობელი გახდეს.

გაზეთ AS-ის ინფორმაციით, 31 წლის კალათბურთელი 48 მილიონი ევროს გადახდას აპირებს საჯინიბოს შესაძენად. გასოლი იყენებს იმ ფაქტორს, რომ კომპანია Thesan Capital-მა ჯერ ვერ შეძლო HRT-ის შეძენაზე საბოლოო შეთანხმების მიღწევა.

ამასთან, გასოლი უკვე მიიჩნევა ესპანური საჯინიბოს აქციონერად, რაც მას 22 აგვისტომდე HRT-ის შეძენის უპირატესობას ანიჭებს.

იმავე AS-ის ცნობით, „ლეიკერსის“ წევრი HTR-ის აუთსაიდერთა რიგებიდან გამოყვანას აპირებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა